პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 28 მარტი № 73 (180015) ფასი 2 კაპ.



ორბიტის ახალი ამბები

ფრუნზის მართვის ცენტრი, 27 მარტი. (საკადესი). შეოთხე დღეა „სალუტ-6“ — „სოიუზ ტ-4“ — „სოიუზ-39“ ორბიტულ კომპლექსში მუშაობს საერთაშორისო ეკიპაჟი.

დღეს სადგურის საბორტო სისტემების კონტროლისა და მთელი რიგი სამედიცინო გამოკვლევების შემდეგ კოსმონავტები შეუდგნენ „ჰოლოგრამის“ ექსპერიმენტების შესრულებას. ამ ექსპერიმენტების მიზანია შემოწმდეს ობიექტების გამოსახულებათა ჩაწერისა და გადაცემის ახალი, უფრო ინფორმაციული მეთოდების გამოყენება ჰოლოგრაფიის გამოყენებით კოსმოსში სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

პორტატიული აპარატურის დახმარებით, რომელშიც შედის ჰელიონეონის ლაზერი და მარეგისტრირებელი მოწყობილობები, კოსმონავტებმა შეასრულეს ორი დამოუკიდებელი ექსპერიმენტი. მაგალითად, ვლადიმერ კოვალიონოკმა და ვიქტორ სავინიხმა ჰოლოგრაფიულად გადაიღეს ერთ-ერთი ილუმინატორი, რომელსაც გარე ზედაპირზე აჩნდა მიკრომეტეორიტების მოხვედრის კვალი. ვლადიმერ ჯანიბეკოვმა და ჟუგდერდემიდიინ გურაგჩამ გადაიღეს უწონობის პირობებში სუფრის მარილის კრისტალის გახსნის პროცესი. ფოტოფირების ჰოლოგრამების ჩანაწერი გამოიგზავნება დედამიწაზე ლაბორატორიული კვლევისათვის.

საღამოს სატელევიზიო კავშირის არხებით პირველად განზორციელდება ჰოლოგრაფიულ გამოსახულებათა გადაცემა „სალუტ-6“ სადგურიდან დედამიწაზე და დედამიწიდან სადგურში.

დღევანდელი პროგრამა ითვალისწინებს კოსმოსური მასალათმცოდნეობის ერთობლივი საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ექსპერიმენტ „ალტაი-1“-ის მოწყობას, რომლის მიზანია ტყვიისა და კალის ნადნობში დიფუზიისა და მასცვლის პროცესების გამოკვლევა.

ორბიტულ კომპლექსში გრძელდება ბიოლოგიური ექსპერიმენტები. კოსმონავტები აღნუსხავენ ხახვისა და ბარდის განვითარებას დანადგარებში „ვაზონი“ და „ოაზისი“, ხოლო „ბიოგრავისტატში“ გამოკვლევის ობიექტია ქერის თესლი.

ტელემეტრიული გაზომვების მონაცემების და ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსიდან მოსული მოხსენებების თანახმად, ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ერთობლივი კვლევის პროგრამა წარმატებით სრულდება.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

● ●

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობა დაჯილდოდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1981 წლის 27 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1981 წლის 27 მარტი.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი—პრაქტიკულ საქმედ!

პირველადი პარტორგანიზაციის აქტიურობა

სკკპ XXVI ყრილობაზე გამოსვლისას მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშამ ვ. ნაუმკინმა განაცხადა, რომ მეათე ხუთწლედში სახელგანთქმული საწარმოს კოლექტივმა ახალ სიმძლავრეთა აუმოქმედებლად მნიშვნელოვნად გაზარდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის წარმოება. როგორ შეძლეს ამის მიღწევა? აქ მტკიცედ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, უნარიანად ნერგავენ მოწინავე ტექნოლოგიას.

— მაგრამ საქმე მარტო ეს როდია, — ავტორიტეტულად განაცხადა კომუნისტმა. — ჩემი აზრით, საჭიროა სხვა რამეც, კომბინატის რვაათასიანი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, ეძიებს გზებს, რათა აღამაღლოს ადამიანი, გამოავლინოს მისი ხაუკეთესო უნარი, უზრუნველყოს აქტიური მონაწილეობა წარმოების მართვაში, კოლექტივის ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია 414 ათას პირველად ორგანიზაციას აერთიანებს. მათ უპირველესი როლი განეკუთვნებათ კომუნისტური მშენებლობის მრავალფეროვან ამოცანათა განხორციელებაში. ისინი არიან მასების შუაგულში, ეურდნობიან საამქრო პარტორგანიზაციებისა და პარტჯგუფების ფართო ქსელს და, შეიძლება ითქვას, ადუღაბებენ შრომითს კოლექტივებს, მათ მეცადინეობას წარმართავენ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მაქსიმალურად გავაქტიუროთ ეს რგოლები, ნიშნავს ავამოქმედოთ საქმის გაუჭობესების ახალი რეზერვები ჩვენი საერთო მუშაობის ყველა უბანზე.

შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელი ბირთვი — ასე უწოდებენ სამართლიანად პირველადს ორგანიზაციას. მისი ეს დანიშნულება მით უფრო მკაფიოდ ვლინდება, რაც უფრო შეთანხმებულად და ენერგიულად იჩენენ კომუნისტები ინიციატივას გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, პროპაგანდას უწევენ და ხელმძღვანელობენ სახალხო დოვლათისადმი უყარათიან დამოკიდებულებას, ნერგავენ ახალს, მოწინავეს, იბრძვიან ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აფერხებს წინსვლას. მათი პირადი მაგალითი, მასებზე დაყრდნობა, უნარი ხელადგენენ პერსპექტივას და სხვასაც აინტერესებდნენ მისით, ხელს უწყობს პარტორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდას, მისი გავლენის გაძლიერებას მეურნეობრიობის დონეზე, ადამიანთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომით, ზნეობრივ აღზრდაზე.

ПРАВДА
27 მარტის მოწინავე

ახლა პირველადს პარტორგანიზაციებში ეწყობა სკკპ XXVI ყრილობის შედეგებისა და იმ ამოცანებისადმი მიძღვნილი კრებები, რომლებიც გამომდინარეობს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან, ყრილობის სხვა დოკუმენტებიდან. ქარხნისა თუ ფაბრიკის, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის, მშენებლობისა თუ დაწესებულების პირობების გათვალისწინებით ყველგან უნდა შევიმუშაოთ პარტიის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების შესრულების ქმედითი ღონისძიებანი. ამასთან უნდა განისაზღვროს პარტიული მუშაობის ყველა უბნის, ყველა მხარის — პოლიტიკურის, ორგანიზაციულის, იდეოლოგიურის — სრულყოფის გზები.

ყრილობამ წამოაყენა პრინციპული და ამავე დროს კონკრეტული დებულებანი პარტიული რიგების შემდგომი განმტკიცების, კადრების შერჩევისა და აღზრდის გაუჭობესების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების, პარტორგანიზაციათა ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. წარმატებით განახორციელონ ეს დებულებანი, ამრავლონ შეძენილი გამოცდილება, უფრო სწრაფად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი — ეს არის კომუნისტების უმნიშვნელოვანესი მოვალეობა.

„საქმე ეხება საკადრო საკითხებს, სამეურნეო გეგმების შესრულებას თუ ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ პრინციპულობა, არ ამყვნენ ადმინისტრაციის ნებას, როცა იგი სწორად არ იქცევა. ერთი სიტყვით, მტკიცედ განახორციელონ პარტიის ხაზი“.

როგორია აქ წარმატების წანამძღვრები? ეს არის უპირველესი ამოცანების უნარიანად განსაზღვრა და კომუნისტების მეცადინეობის წარმართვა მათი განხორციელებისათვის. ეს არის მომთხოვნელი, დრო და დრო კი არა, სისტემატური შემოწმება იმისა, თუ როგორ არის დაყენებული საქმე ამა თუ იმ უბანზე, როგორია მისი ოპერატიულობა, ფართო საჯაროობა და მახარობობა. ეს არის ზუსტი ორიენტაცია მნიშვნელოვანი საბოლოო შედეგის, დასახული მიზნის უთუო მიღწევისათვის. უნდა გავზარდოთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიების ავტორიტეტი, აღმოვფხვრათ გაუბედაობა, ინერტულობა და ფორმალიზმი, რაც ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად შეიმჩნევა მათს მუშაობაში. მეტი სიმტკიცე, პრინციპულობა, მიზანმიმართულობა უნდა გამოიჩინონ სამინისტროებისა და უწყებების კომუნისტებმა მართვის აპარატის მუშაობის კონტროლის დროს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის განკარგულებაშია თავისი ორგანიზაციის საქმისათვის სკკპ წევრების პასუხისმგებლობის ამაღლების ბევრი შემოწმებული ფორმა და მეთოდი. საქმიანი მონაწილეობა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში პარტიის წევრებისათვის მებრძოლი თვისებების, ორგანიზატორული ჩვევების, გულგრილობისა და პასიურობისადმი შეურიგებლობის ჩანერგვის უცილობელი პირობაა. სწორედ ამიტომ ახლა, ახალ ამოცანათა შესაბამისად, უნდა გავაანალიზოთ პარტიული დავალებების განაწილების პრაქტიკა, ძალების განლაგება მთავარი მიმართულებებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხებს.

კომუნისტების აზრების, ნებისა და მოქმედების ერთიანობა პარტიულ კრებებზე ყალიბდება. პირველადი ორგანიზაციის მუშაობა ვერ იქნება ნამდვილად ეფექტიანი, თუ ადამიანები მხოლოდ იმისთვის იკრიბებიან, რომ ისხდნენ დადგენილი საათები და ისმენდნენ წინასწარ განსაზღვრულ ორატორთა გამოსვლებს. ასე კი, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე. ჩვეულებრივ ეს შრომთის კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილებზე ორგანიზაციულ-პარტიულ და აღმზრდელობითს მუშაობაში დაშვებული სერიოზული ხარვეზების შედეგია.

პირველადი ორგანიზაციების საქმიანი აქტიურობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ხელმძღვანელობენ მათ პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები. ზემდგომი კომიტეტის ყოველდღიური ყურადღება და ნდობა, კვალიფიციური დახმარება შთაგონებს კომუნისტებს. მაგრამ, როგორც „პრავდის“ ფოსტა მოწმობს, ზოგან ძირეული რგოლებისადმი ხელმძღვანელობა ზერელეა, საქმე იქამდეც მიდის, რომ ყოველდღიურად მოითხოვენ ათასგვარ ცნობასა და მონაცემს ადგილებიდან, გაუთავებლად იძახებენ პარტორგანიზაციების მდივნებს თათბირებსა და სხდომებზე, ფორმალურად იძლევიან ინსტრუქციებს. ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, ნაკლებ სარგებლობას იძლევა, ზოგჯერ კი საქმესაც უშლის ხელს.

ყველგან დაიწყო დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. და აქ ტონს იძლევიან პირველადი პარტიული ორგანიზაციები. დაე, თითოეულმა მათგანმა ღირსეულად გაამართლოს დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობა!

პირველი კვარტალის ყოველი დღე და საათი დამკვრელური!

თბილისი

ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ქალებისათვის მრავალი დასახელების ტანსაცმელს უშვებს, მომდინარე წლის დაკალებათა შესრულებას წარმატებით შეუდგა. წლის დასაწყისიდან მან მომხმარებელს 11 მილიონი, მანეთის პროდუქცია მიაწოდა, რითაც პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შეასრულა.

წლის ბოლომდე მკერავებმა 45 მილიონ 400 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა აწარმოონ. გეგმის შესასრულებლად მთელი კოლექტივი ნაყოფიერად შრომობს.

საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა სიახლის დანერგვას. აქ განზრახული აქვთ მთელი წლის მანძილზე 85 ახალი მოდელის ტანსაცმლის წარმოება აითვისონ, აქედან 25 ახალი დასახელების ნაწარმის სერიულ გამოშვებას უკვე შეუდგნენ. ესენი გახლავთ ქალის ბამბის ქსოვილის კაბალათი, ხელოვნური ბეწვის მოკლე პალტოები, საფარისა და ზამშის ტიპის ქსოვილისგან შეკერილი ქვედა კაბები და სხვა. მათ მომხმარებლის მოწონება უკვე დაიმსახურეს.

შრომაში დაწინაურდნენ № 2, № 1 და № 4 სამკერვალო საამქროები, მკერავები ნ. ლორია, ვ. პისარევა, რ. ციცაგი და სხვ. („კომ.“ კორ.).

ცხინვალი

ელექტროვიბრაციულ მანქანების ქარხნის პროდუქცია საზღვარგარეთის 22 ქვეყანაში იგზავნება. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებამ აქ გამომშვებულ ვიბრომანქანებზე სულ უფრო მეტი მოთხოვნა განაპირობა. წლეულს პროდუქციის მეტი წილი საექსპორტოდ დამზადდა. ორი ცალი ვიბრომკვებავი ბულგარეთში გაიგზავნა, ერთი — ეგვიპტეში, თექვსმეტი ცალი ცხავი — ინდოეთში, ოცდაცამეტი ვიბრომკვებავი — კუბაში.

ცხინვალური ვიბრომანქანები გაიგზავნა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა სამშომამდიდრებელ კომბინატებში, მეტალურგიულ ქარხნებში.

ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებისათვის, ბევრმა მუშამ დროს გაუსწორა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის ნაცვლად 5 თვის დავალება უკვე შეასრულა.

ქარხანაში წარმატებით იბრძვიან ნორმატიული სუფთა პროდუქციის მაჩვენებლის შესასრულებლად. დამკვეთებმა უკვე მიიღეს 237 ათასი მანეთის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია, რაც დაეგეგმილზე 88 ათასი მანეთით მეტია. (საკ. კორ.).

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივმა ერთხულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოველთა თაოსნობას, რომლებმაც გამოიჩინეს ინიციატივა — მოაწყონ 18 აპრილს ლენინური კომუნისტური შაბათობა.

მოსკოველთა ინიციატივას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოწინავე მჭსოველი კოკონა გაგნიძე. აი უკვე რვა წელია იგი ქარხანაში შრომობს და მაღალ მაჩვენებლებს აღწევს.

კ. გაგნიძე საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულია. კვარტალური გეგმა მან ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის გახსნის დღისათვის შეასრულა. მოწინავე წარმოების მუშაკი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. იგი პროფკავშირის საამქრო კომიტეტის, ქარხნის მუშური ღირსების კომისიის, საწარმოს სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრია.

სურათებზე: რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საჭსოვი საამქროს საერთო ხედი; რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მოწინავე მჭსოველი კ. გაგნიძე.

ბ. ნახუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მაქსიმუმი პროდუქცია — მინიმალური დანახარჯებით

სოციალისტური შეჯიბრება და ადამიანები

ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათაშენებელი ქარხანა მოწინავე საწარმოა.

მისმა შრომითმა კოლექტივმა მეათე ხუთწლიანი დავალება ვადამდე შეასრულა. სახალხო მეურნეობას გაეგზავნა 8 ერთეულით მეტი მიწასათხრელი მანქანა. მთლიანი პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპმა 129 პროცენტი შეადგინა, რაც 1,6 პუნქტით მეტია ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულზე. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის მატების 85 პროცენტი შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად არის მიღებული.

ქარხნის კოლექტივი მრავალი კარგი თაოსნობის ინიციატორია. სკკპ XXVI ყრილობისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მანქანათმშენებლებმა ახალი ინიციატივა გამოიჩინეს. ამ თაოსნობის ლოზუნგია — „მაქსიმუმი პროდუქცია — მინიმალური დანახარჯებით!“. ესე იგი თითოეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე მიიღონ პროდუქციის მაქსიმალური უკუგება.

მანქანათმშენებელთა ეს ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მიიღო გადაწყვეტილება ფართოდ გავრცელდეს იგი რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმოში. ეს ინიციატივა, გულისხმობს საწარმოში მეთერთმეტე ხუთწლედში დამატებითი კაპიტალური დაბანდების გამოყენებლად გაიზარდოს პროდუქციის მთლიანი მოცულობა 8 მილიონი მანეთით ანუ 21 პროცენტით, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება — 3 მილიონი მანეთით ანუ 95 პროცენტით.

როგორ ასრულებენ ინიციატორები თავიანთ ვალდებულებას? ამ კითხვით მივმართეთ ქარხნის დირექტორს დ. მაღალაშვილს, რომელმაც განაცხადა:

— ახალ ხუთწლედში ჩვენს მუშაობას წარვმართავთ პროდუქციის კონსტრუქციული სრულყოფისათვის მანქანათა ლითონტევადობის შემცირების მიზნით, მისი საექსპლოატაციო პარამეტრების გაუმჯობესების მიმართულებით. აღკაზად ქვეყნის საწარეოქტო და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან თანამშრომლობით მიმდინარეობს პროდუქციის განახლების სამუშაოები, რაც საშუალებას მოგვცემს მუდმივად ვზარდოთ უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის წარმოების ხვედრითი წილი. წლეულს ასეთი ნაწარმის ხვედრითი წილი 61,3 პროცენტამდე გაიზრდება გასული წლის 58 პროცენტთან შედარებით. პარალელურად ვახორციელებთ საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და მექანიზაციას, უპირველესად იმ ოპერაციებისას, სადაც შეინიშნება მუშახელის ნაკლებობა და საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება.

გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ ყველა საწარმოო რგოლის, განყოფილებისა თუ სამსახურის შეთანხმებულ მუშაობას, რომელსაც ჩვენი კოლექტივი გასულ ხუთწლედში ყოველდღიურად ხვეწდა. დღეს წარმატებების მიღწევა წარმოუდგენელია, თუ არ გაძლიერდება კოლექტიური პასუხისმგებლობა. ამიტომ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად განზრახული გვაქვს სწორედ გაძლიერებული კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობით წარმართოთ საწარმოს საქმიანობა, ყველაფერი ვიღონოთ ინიციატივის განხორციელებისათვის.

ახლა ინიციატორებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და წარმატებებსაც აღწევენ.

ქარხნის საერთო წარმატებაში დიდია № 1 საკორპუსე-საშემდუღებლო საამქროს (უფროსი — ვ. გაბელია) წვლილი. ეს საამქრო ქარხნის სული და გული. აქ სრულყოფილ სასაქონლო სახეს იღებს მიწასათხრელი მანქანების კორპუსები. საამქრო ყოველთვის გადაჭარბებით სრულებს გეგმა-ვალდებულებებს. განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ ბრიგადებმა, რომელებსაც გ. ხელაია, ი. კუნგურეცვი, კ. მიმინოშვილი და გ. მოსკალენკო ხელმძღვანელობენ.

ძირითადი პროდუქციის წარმოების პარალელურად მეთერთმეტე ხუთწლედში ქარხნის კოლექტივმა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება 3 მილიონი მანეთით ანუ 95 პროცენტით უნდა გაზარდოს, ამიტომ საამქროს კოლექტივი ამ ახალი გადებული დავალების შესრულებისათვის ამთავითვე თავგამოდებით იბრძვის. საამქროში ინერგება ახალი ტექნოლოგიური პროცესები. თუ აქამდე აქ საპატრონ ხუთკუთხედით 10 სახეობის პროდუქციას ამზადებდნენ, წლეულს, პირველ კვარტალში, დამატებით კიდევ სამი ახალი სახეობის პროდუქციას გამოიშვებენ.

სახელოვნად და შეხმატკბილებულად შრომობენ ძველი და ახალი გვარდიის მუშები: ზეინკალი ვ. ჩარტია, ხარატი ბ. ბერია, მრავალდაზოგსანი ვ. მიხაილოვი, ამწყობი ზეინკალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. ფიჩხუა, ამწყობი ტ. ჩარტია, ხარატი ბ. ერემოვი, ზეინკალი ვ. ელიავა და სხვები.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

როგორ ვემზადებით ჩაის სეზონისათვის?

გათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ჩაის ფაბრიკებისთვის საჭირო აღჭურვილობას ამზადებს.

ბოლო ათწლეულში ქარხნის კონსტრუქტორებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მანქანა-დანადგარების საექსპლოატაციო თვისებები. შექმნეს ახალი ნაკადური ხაზები, დანერგეს მრავალი ტექნოლოგიური სიახლე, გააუმჯობესეს ჩაის პროგრამული დამუშავების პროცესი. მრავალი დეტალი მექანიკური დამუშავების ნაცვლად ისხმება, რითაც გაიზარდა მათი გამძლეობა და საიმედოობა, ამასთან მრავალი დეტალი უნიფიცირებულია, რაც ხელს უწყობს მანქანის თვითღირებულების შემცირებას.

მიუხედავად ამისა, ქარხანა მაინც ვერ აკმაყოფილებს ჩაის მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებას. შეიმჩნევა დისპროპორცია ჩაის დამზადებასა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის. ასეთ ვითარებაში აქტუალურ პრობლემად რჩება ჩაის ფაბრიკების გაფართოების საკითხი. მაგრამ ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მიზეზით დღემდე ჩაის ფაბრიკები ხშირად სათანადოდ ვერ მარაგდება სახმობი ღუმელებით, საღრობ-საფიქსაციო აგრეგატებით და საგრეხი მანქანებით. ამასთან შეფერხებებია იმ ფაბრიკების დაკომპლექტებაში, სადაც მნიშვნელოვანი ორგტექნიკური ღონისძიებანია განსახორციელებელი. მაგალითად, დღეისათვის ახალი ტიპის საგრეხი მანქანები მიღებული არ არის ხელვაჩაურის მეთაურ საწარმოში, მუხიანტეს, ოფიურჩხეთის ჩაის ფაბრიკებში, რის გამოც სარეკონსტრუქციო სამუშაოები გვიანდება. ქარხანაში ზოგჯერ ცალკეული მანქანები დაუკომპლექტებელია და უხარისხოდ არის დამზადებული.

ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობასთან ერთად საჭიროა მოქმედ საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვა. ყოველივე ეს, ცხადია, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის, კოლექტივს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. ეს მდგომარეობა გაითვალისწინეს ზემდგომმა ორგანოებმა. აღებულია კურსი, რომ ქარხანამ მხოლოდ ჩაის მრეწველობისათვის საჭირო დანადგარები გამოუშვას, ხოლო კვების მრეწველობის დანადგარები, რომლებიც აქ მზადდებოდა, სხვა საწარმოს გადაეცეს.

მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის საქმეა. ახლა კი მთავარია ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფის სეზონს, გამოირიცხოს ე. წ. ყოველგვარი მიზეზი. ჩაის ფაბრიკების მზადება ნედლეულის მიღებისათვის უნდა მიმდინარეობდეს შემჭიდროებული გრაფიკის მიხედვით.

ჩვენს შეკითხვას, თუ როგორ ამარაგებენ ბათუმელი მანქანათმშენებლები ჩაის ფაბრიკებს საჭირო ტექნიკითა და სათადარიგო ნაწილებით, პასუხი გასცა ქარხნის დირექტორმა ე. გოგავამ.

— ჩვენს კოლექტივს კარგად ესმის, — განაცხადა მან, — რომ ჩაის ფაბრიკები ახალ სეზონს გამართულნი უნდა შეხვდნენ, საამისოდ თადარიგი დავიჭიროთ შემოდგომისა და ზამთრის პერიოდიდან. ისე წარვმართეთ ჩვენი მუშაობა, რომ ჩაის მრეწველობას გაზაფხულამდე მიეღო არა მარტო პირველი კვარტალისთვის დაგეგმილი ტექნიკა, არამედ ის, რაც მეორე კვარტალში გამოსაშვებად დაიგეგმა. ეს არის როლერები, შემრევი კამერები, მიკრომახარისხებლები, ჩაის მჭრელები, ჩატვირთვის ავტომატური ხაზები, ჩაის საღრობი როლერები, კალორიფერები და ათობით სხვა სახეობის მოწყობილობა. ზოგიერთი დეტალის დამზადება მეორე ძვარტალში გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ ეს დავალებაც ვადამდე შევასრულეთ.

დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან ქარხნის კონსტრუქტორები. მათი წყალობით გაიზარდა ჩაის საწარმოთა მწარმოებლობა, ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები, გამოთავისუფლდა მუშახელი, შემცირდა ხელის შრომა. სასურველია ტექნოლოგიური სიახლეები ყველა ჩაის ფაბრიკაში დროულად დაინერგოს, მაგრამ ჯერჯერობით ამის საშუალება არ არის. როგორც ზემოთ ვთქვით, ქარხანა ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით უშვებს კვების მრეწველობისათვის საჭირო სხვადასხვა სახეობის მანქანებს, რითაც დატვირთულია საწარმო. არადა, დღეს დიდი მოთხოვნილებაა ახალი ტიპის ჩაის საღრობ ღუმელებზე, როლერებზე.

მანქანათმშენებლებმა საყვედური გამოთქვეს რუსეთის იმ ქარხნების მიმართ, რომლებიც შეფერხებებით და სტანდარტის დარღვევით გზავნიან ნედლეულსა და დეტალებს. მანქანათმშენებლები არც მთავარი მომმარაგებლებით — ქუთაისისა და თბილისის მთავარი ბაზების მუშაობით არიან კმაყოფილნი. ურიტმო მომმარაგება იწვევს შეფერხებებს წარმოებაში.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩაის ფაბრიკებს გაცილებით მეტი დეტალები და სათადარიგო ნაწილები სჭირდებათ, ვიდრე მათ მიიღეს, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სეზონში აგრეგატებისა და დანადგარების ყოველი შეფერხება სიძნელეს წარმოქმნის, პლატაკიებში დაიკარგება მწვანე ოქრო. აი რაზე უნდა ვიფიქროთ დღეს, როცა კარზეა ჩაის კრეფის სეზონი.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თადარიგი: სანამ კრეფა დაიწყებოდეს

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

„მე პირველად ვარ საქართველოში, მაგრამ ასე მგონია ბევრჯერ ვყოფილვარ აქ. ალბათ იმიტომ, რომ საქართველო ის რესპუბლიკაა, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ“, — განაცხადა 27 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ მიღებაზე მაროკოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ბატონმა აბდელჰალეკ კაბაჟამ, რომელიც გაცნობის მიზნით მოგზაურობს ამერკავკასიაში.

სტუმარი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ხერეიშიამ. მან ილაპარაკა უკანასკნელი ხუთწლედების წლებში რესპუბლიკის მიერ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მიღწეულ წარმატებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის გზებს, რომელსაც არა მარტო ადგილობრივი, არამედ საკავშირო მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენი რესპუბლიკა ინტენსიური საკურორტო და ტურისტული მეურნეობის ზონაა.

სტუმარმა ყურადღებით მოისმინა აგრეთვე საუბარი საქართველოს ეკონომიკის ახალი აღმავლობის პერსპექტივებზე, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ განსაზღვრა.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, ამ სამინისტროს პოლიტიკური ინფორმაციის განყოფილების გამგე ზ. ი. აბაშიძე.

იმავე საღამოს ბატონი აბდელჰალეკ კაბაჟი ერეკლეში გაემგზავრა. (საქინფორმი).

1981 წლის 30 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება

საქართველოს მწერალთა IX ყრილობა

დასაწყისი დილის 10 საათზე.

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია — 8 ს. 30 წუთიდან 9 ს. 30 წუთამდე.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

2. მუშაობის სტილი

ხელმძღვანელის ავტორიტეტს ორგანული კავშირი აქვს მისი მუშაობის სტილთან. ყოველი ხელმძღვანელი თავისებურად განუმეორებელი პიროვნებაა; პიროვნების ინდივიდუალურობა მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ყალიბდება. ცხადია, რომ ადამიანები თავიანთი ბიოგრაფიებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომაც ყოველი ხელმძღვანელი ორიგინალურია, როგორც პიროვნება. ამასთან იგი პიროვნების განსაზღვრული ტიპის წარმომადგენელია და თავის მოღვაწეობაში განასახიერებს ხელმძღვანელობის ამა თუ იმ სტილს.

ლიტერატურაში ცნობილია ხელმძღვანელების ტიპთა და მათი შესაბამისი ხელმძღვანელობის სტილის კლასიფიკაცია. აღიარებულია სამი ძირითადი ტიპი: ავტორიტარული, დემოკრატიული და ჩაურეველი ანუ პასიური. ავტორიტარული ტიპის ხელმძღვანელი მუშაკისაგან დავალებათა შესრულებას მკვეთრი, უფრო ხშირად უხეში ფორმით მოითხოვს. არცთუ იშვიათად ისმის მუქარა. ტონი არასასიამოვნოა. ქება და ძაგება სუბიექტურია.

ჩაურეველი ხელმძღვანელი საერთოდ არ ერევა კოლექტივის მუშაობის მსვლელობაში. ადამიანები როგორც უნდათ, ისე იქცევიან. კოლექტივის ასეთი ტიპის ხელმძღვანელი მუდმივად სულ სხვა საქმეებით არის დაკავებული, საათობით, უფრო ხშირად მთელი დღე კანცელარიაშია. თვითონ იგი ძალზე იშვიათად ანაწილებს სამუშაოს. მისი ხელქვეითები ღებულობენ მითითებებს სამუშაოს შესახებ ბრიგადის თუ სხვა კოლექტივის გარეთ მდგომი დამქვეთებისაგან.

ხელმძღვანელობის საუკეთესო და ერთადერთ მისაღებ ტიპად ითვლება დემოკრატიული ტიპი. ხელმძღვანელთა უდიდესი უმრავლესობა სოციალისტურ საზოგადოებაში სწორედ ამ ტიპს მიეკუთვნება. ავტორიტარული და ჩაურეველი ტიპის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ გვხვდებიან, მაგრამ სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების, მშრომელთა შეგნების ზრდის კვალობაზე მათი რიცხვი სულ უფრო მცირდება.

ხელმძღვანელი, რომელიც თავის მუშაობაში უპირატესად ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილისაკენ იხრება, თავს დაწესებულების ბატონ-პატრონად თვლის და სწორედ ამიტომ საკუთარი შეხედულებანი შეუვალად და საბოლოოდ მიაჩნია, ანგარიშს არ უწევს თავისი მოადგილეების მოსაზრებებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი შორდებიან მის პირად შეხედულებას. აქტივს თავის ნება-სურვილებს უკარნახებს, გადაწყვეტილებებს ღებულობს იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან წინასწარ შეუთანხმებლად, რომლებიც მისი პირადი ძალაუფლების გავლენის ქვეშ არის მოქცეული. იგი საქმით არასოდეს არ აღიარებს შეცდომებს, აზრადაც კი არ მოსდის მის მიერ ტყუილად განაწყენებული ადამიანის წინაშე ბოდიშის მოხდის შესაძლებლობა. როცა მას აკრიტიკებენ, არ უყვარს, ვერ იტანს, მაგრამ თვითონ კი სხვების კრიტიკა ძალიან უყვარს. იგი მწვავე (ძირითადად უსაფუძვლოდ) კრიტიკის ცეცხლში ატარებს ხან ერთ, ხან კიდევ მეორე მუშაკს, თვითმის უიანლოეს თანამშრომელსაც კი, ამასთან საჯაროდ და ძალიან მკაცრადაც, ზოგჯერ გარეშე პირების თანდასწრებით. უნდა ითქვას ეს არცთუ იშვიათად უხერხულობისა და დაძაბულობის ატმოსფეროს ქმნის კოლექტივში.

ხშირ უყვარს გარეგანი წესრიგი, ყველგან აბსოლუტურ დისციპლინასა და დავალებათა შესრულების სიზუსტეს მოითხოვს. პირადად იგი ბევრს მუშაობს. მუშაკთა შეფასება უაღრესად სუბიექტურია. სწორედ ამიტომ მლიქნელებს საშუალება ეძლევათ დროდადრო დაუახლოვდნენ მას. ფაქტიურად იგი სწორედ მათ ეყრდნობა თანამშრომელთა შეფასებაში და ეშიშითად აქვს საკუთარი „მე“ ამ საკითხში.

ჩვეულებრივ ხელმძღვანელის ასეთი სტილის შედეგად კოლექტივი იფიტება, კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. ინიციატივიან, მაგრამ გაუბედავ მუშაკებს ეშინიათ რაიმე წინადადების გამოთქმის, ხოლო დამოუკიდებელი, ამაყი და შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანები საერთოდ მიდიან კოლექტივიდან. შეიმჩნევა კადრების ხშირი ცვალებადობა. ფსიქოლოგიური კლიმატი უარყოფითია.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ყოფილი დირექტორი ა. ცქიტიშვილი თავის დროზე ცუდ ხელმძღვანელად როდი ითვლებოდა. ეს ჩანს, კერძოდ, მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დახასიათებიდან: „თავი გამოიჩინა როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა, წარმოების უნარიანმა ორგანიზატორმა“. 1973 წელს იგი ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე დაწინაურეს. აქამდე მან ამ საწარმოში 20 წელი იმუშავა. იყო ოსტატი, ცვლის უფროსი, საამქროს უფროსის მოადგილე, საწარმოო განყოფილების უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე. თავიდან მან საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. სულ მალე ქარხანა მოწინავე გახდა. და მოხდა მოულოდნელი რამ. ერთ წელზე მეტი ხნის წინათ იგი სამუშაოდან მოხსნეს და პასუხისგებაში მისცეს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსის ერობაშად ოთხი მუხლით. რაც უფრო მაღლა იწევდა იგი სამსახურებრივი საფეხურებით, მით უფრო მკვეთრად იცვლებოდა შინაგანად უარესობისაკენ. თანამშრომლებისადმი მომთხოვნელობა უხეშობად გადაიქცა, საკუთარი ძალების რწმენა — თავდაჯერებად, მიზნის მიღწევისადმი მისწრაფება — ადამიანთა საჭიროებებისადმი გულგრილობად. არაცხვრებისეული, ხელოვნური, საბჭოთა პრინციპებისადმი აშკარად უცხოა ხელმძღვანელის პოზიცია, რომელმაც „წმინდა“ საწარმოო მაჩვენებლებს გადაყოლილმა დაივიწყა მთავარი — ადამიანი. ამიტომ სავსებით კანონზომიერი იყო ა. ცქიტიშვილის კარიერის საკვალო ფინალი.

კიდევ უფრო სავალალოდ დამთავრდა ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკის ი. კობახიძის მოღვაწეობა. იგი წლების მანძილზე კომკავშრომელ, საბჭოთა და სხვა სახის სამუშაოზე იმყოფებოდა, ბოლო წლებში ნდობა გამოუცხადეს და იგი ქ. თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დაიწინაურეს. მან ვერ გაამართლა ნდობა და ეს პასუხსაგები და საპატიო თანამდებობა ბოროტად გამოიყენა. კომუნალური ბინების განაწილება ქრთამის აღების წყაროდ გადაიქცია. ამ დანაშაულებრივ მოქმედებაში თანამშრომლებიც ჩათრია და ჩირქი მოსცხო მეტად კომპეტენტურ კოლექტივს, რომლის ერთ-ერთი უპირველესი მოწოდებაა სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების მტკიცედ დაცვა, ადამიანებისადმი გულისხმიერება, მათი სანიმუშო მომსახურება.

კოლექტივი და ხელმძღვანელი

ჩაურეველი, პასიური სტილის ხელმძღვანელები მსხვილ საწარმოებში, შეიძლება ითქვას, არც კი გვხვდებიან. უფრო მეტად ასეთი ტიპის ხელმძღვანელები სამეცნიერო კოლექტივებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არიან, ჩაურეველი ტიპის ხელმძღვანელებისათვის დამახასიათებელია ყველა თავისი ფუნქციის გადაცემა მოადგილეებისათვის. თვით იგი არაფერს არ წყვეტს. მთხოვნელებს თავის მოადგილეებს უგზავნის.

ჩაურეველი ხელმძღვანელი გაურბის კონფლიქტებს ადამიანებთან, თავს არიდებს სადავო საქმეების განხილვას. ცუდად იცნობს ყველა თანამშრომელს, არ შეუძლია გვარით დაასახელოს ბევრი მათგანი. ადამიანები მას მხოლოდ კრებაზე ან სხდომებზე ხედავენ.

ძირითადად, რასაც ასეთი ხელმძღვანელი აკეთებს, ეს არის თავისი თანაშემწეების მოხსენებების მოსმენა, მოტანილ ქაღალდებზე — ანგარიშებზე და გეგმებზე ხელის მოწერა. კოლექტივში იგი, როგორც ხელმძღვანელი არ სარგებლობს ავტორიტეტით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხელმძღვანელობის ავტორიტარულობა არც თუ იშვიათად დაკავშირებულია ნებისყოფისა და ტემპერამენტის თავისებურებებთან. ავტორიტარული ხელმძღვანელები უპირატესად ძალაუფლების ადამიანებია, რომლებიც ხასიათდებიან დიდი შეუპოვრობით და დაჟინებით. ამასთან ისინი ძალიან პატივმოყვარეებია საკუთარი პრესტიჟის გრძნობის თვალსაჩინო ამაღლებით. ავტორიტართა შორის გვხვდებიან თავდაუზოგელი, ფხიზელი ადამიანები, რომლებიც გატაცებული არიან საბიექტივიზმით მუშაობაში. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი ადამიანები განსაკუთრებით აღგზნების დროს ვერ იითმენენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, შენიშვნებს და მიმართავენ უხეშობას.

რაც შეეხება დემოკრატიული ტიპის ხელმძღვანელს, მისი ფსიქოლოგია ნათელია. მაღალი იდეურ-პოლიტიკური მომზადებულობა, ხასიათის კეთილშობილება და საქმისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება ქმნიან წარამძღვრებს ადამიანებისადმი მომთხოვნელობისა და მთდამი პატივისცემით მოპყრობისათვის. დემოკრატიული ხელმძღვანელის პიროვნებისადმი უცხოა პატივმოყვარეობა, დიდებისა და სახელის მაძიებლობა, თუმცა იგი მტკიცედ არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში. სულიერი სიმდიდრე, ცოდნისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა სიუხვე საშუალებას აძლევს მას გულუხვად გაუნაწილოს თავისი სულიერი სიმდიდრე ადამიანებს. ასეთია, მაგალითად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი კათედრის გამგე პროფესორი ა. კაკუშაძე, რომელიც უყოყმანოდ უნაწილებდა სხვებს ძვირფას მეცნიერულ იდეებს, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედო ბევრ საკანდიდატო, აგრეთვე სადოქტორო დისერტაციას. ინსტიტუტში ბევრს უკვირდა კიდევაც ასეთი გულუხვობა. მაგრამ ამის ახსნა მარტივად შეიძლება: შემოქმედების, იდეების წყარო მდიდარი იყო, თვით იგი ნათლად ხედავდა, რომ მისი მეცნიერული იდეები ცოცხლობენ ფაქტობრივი მასალებით და ახალი დასკვნებით, განზოგადოებებით გამდიდრებულ სხვა ადამიანთა ნაშრომებში, და თავისი სარგებლიანობის გამო დიდ სიხარულს და კანონიერი სიამაყის გრძნობას განიცდიდა.

იბადება კითხვა, შეიძლება ხელმძღვანელის ტიპი და მუშაობის შესაბამისი სტილი შეიცვალოს, გარდაიქმნას? როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, შეიძლება. მართალია, ყოველი ტიპი მკაცრი ფსიქოლოგიური წარმონაქმნია, მაგრამ ისიც შეიძლება შეიცვალოს, ერთ შემთხვევაში—ძნელად, მეორე შემთხვევაში — შედარებით იოლად. ეს პიროვნების მოქნილობასა და გარემოებაზეა დამოკიდებული. არის შემთხვევები, როდესაც არც კრიტიკა კოლექტივის მხრიდან, არც ზემოდან გაფრთხილება არ მოქმედებს ხელმძღვანელზე, მისი მუშაობის სტილზე. ასეთი ტიპის მოღვაწე მწვავე კრიტიკის გავლენით ერთხანს იქცევა უფრო ფრთხილად და თავშეკავებულად. მაგრამ სულ მალე იგი ივიწყებს ყოველივეს და ძველებურად იწყებს მოქმედებას, ხოლო, თუ ხელმძღვანელი მოქნილია ამ სიტყვის დადებითი გაგებით, აქვს მაღალი მორალური და სოციალური აღზრდილობა და ამასთან თვით დარწმუნდა ავტორიტარული ან პასიური ხელმძღვანელობის ნაკლებ ეფექტიანობაში, მას შეუძლია გარდაქმნას თავისი მოღვაწეობის სტილი და გახდეს სრულყოფილი ხელმძღვანელი.

ამრიგად, ხელმძღვანელობის სტილის შეცვლის შესაძლებლობანი რეალურია. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც აღჭურვილი არიან დიდი უფლებებით ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის დარგში. მმართველი ორგანიზაციები აგრეთვე თვალყურს ადევნებენ კოლექტივების ხელმძღვანელთა საქმიანობას და კონტროლს უწევენ მას. არის შემთხვევები, როდესაც საქმისათვის, კოლექტივისათვის სასარგებლოა ცუდი ხელმძღვანელის მოხსნა, რამდენადაც ცხადი ხდება, რომ მას არ გააჩნია აუცილებელი თვისებები, რომელთა კომპენსირება არ შეიძლება არც ცოდნით და არც მუშაობის გამოცდილებით. სხვა შემთხვევებში, როდესაც, მაგალითად, ხელმძღვანელს აქვს საუკეთესო თვისებები, კერძოდ ორგანიზატორული, მაგრამ არ ჰყოფნის თავდაჭერილობა ან ცოდნა, აუცილებელია გაეწიოს დახმარება ხარვეზების გამოსწორებისათვის, თვითგანათლებისა და თვითაღზრდისათვის. ხელმძღვანელს შეიძლება არსებითად დაეხმაროს კრიტიკა ზემოდან, რომელიც დაანახვებს მას საკუთარ შეცდომებს. რაც შეეხება კრიტიკას ქვემოდან, იგი განსაკუთრებით ქმედითია, როდესაც გამოხატავს უმრავლესობის, მით უფრო, კოლექტივის საერთო შეხედულებას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე თქვა: „ხელმძღვანელის სტილი და მეთოდები მთელი პარტიისათვის, მთელი ხალხისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხია“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს პრაქტიკაში დანერგილი აქვს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მუშაობის სტილის შესწავლა, საქმიანი განხილვა და დადებითი გამოცდილების განზოგადება. ამას დიდი სარგებლობა მოაქვს საქმისათვის. ასეთი პრაქტიკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა უდავოა. ამის შედეგად ბევრმა ხელმძღვანელმა გამოასწორა მუშაობა, ზოგიერთმა კი საფუძვლიანად გარდაქმნა მუშაობის სტილი.

ადამიანებისათვის ზრუნვას, კადრების დაფასებას, მათდამი ნდობას ხელმძღვანელი უთუოდ უნდა უხამებდეს მაღალ მომთხოვნელობას, დისციპლინას, მტკიცე კონტროლს. იქ, სადაც კადრებს ნაკლებად სთხოვენ, ვხვდებით ბიუროკრატიზმის რეციდივებს და სხვა სახის არაჯანსაღ გამოვლინებებს.

ნ. ა. ტიხონოვი თავის მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობაზე აღნიშნავდა: „მართვის მექანიზმის სრულყოფა დაბეჯითებით მოითხოვს ძირფესვიანად შეიცვალოს მმართველი კადრების საქმიანობის შინაარსი, მეთოდები და სტილი, გარდაიქმნას თვით მათი ფსიქოლოგია“.

ჯეროვანი მომთხოვნელობა, მტკიცე დისციპლინა, კონტროლი აუცილებელია ხელმძღვანელისათვის, რათა სწორად იქნეს გაგებული ფუნქციები, არ გაჩნდეს ხელისი მაგვარობა, დაიწყოს მკაცრი პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, სწორად წარმართოს მთელი კოლექტივის მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მუშაობის სტილში თანამიმდევრული დემოკრატიზმის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა ხელმძღვანელთის კოლექტიურობის, კოლეგიურობის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, საზოგადოებრივი აზრის საქმიანი გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანი და სერიოზული გადაწყვეტილებების შემუშავებისას.

ხელმძღვანელის თვისებათა შეფასებისათვის ძირითადი პრინციპები მოცემულია ვ. ი. ლენინის მიერ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ შეფასებას უნდა მივუდგეთ კეთილსინდისიერების, პოლიტიკური პოზიციის, საქმის ცოდნის, ადმინისტრაციული უნარის თვალსაზრისით.

ადგილებზე ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და დაწინაურების დროს მათი თვისებების შემოწმების მეთოდად შეიძლება იქცეს გამოსაცდელი ვადა. ვ. ი. ლენინი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ისინი წინ უნდა წამოვწიოთ, გამოვცადოთ, მივცეთ მათ დავალებანი, გავუდიდოთ ეს დავალებანი“.

პრაქტიკული გამოცდა საუკეთესოდ გამოავლენს ადამიანის განსწავლულობას, აღზრდილობას, უნარს, ჩვევებს და ნიჭს ხელმძღვანელოს კოლექტივს ან მის ერთ-ერთ უბანს. ცხადია, გამოსაცდელი ვადა გულდასმით უნდა იქნეს მოფიქრებული და სწორად ორგანიზებული. უნდა მიეცეს, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, დავალებები, რათა გამოვლენილ იქნეს მუშაკთა ესა თუ ის თვისება.

ხელმძღვანელები, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე, — უნდა „გამოიწრთონ მშრომელი მასების შუაგულში, რომ მათ არა დოკუმენტების მიხედვით, არამედ პირადი გამოცდილებით იცნობდნენ, თუ რით ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, იცოდნენ მათი ცხოვრება და მოთხოვნილებანი, მათი ინტერესები“.

სასარგებლოა, თუ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ოფიციალურ დანიშვნამდე გამოიცდება „კანდიდატი. ზოგჯერ ალბათ უმჯობესია. როდესაც კანდიდატმა არც კი იცის, რომ მას ცდიან, სწავლობენ, რადგანაც ასეთ პირობებში უფრო ბუნებრივად ვლინდება მისი თვისებები. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ აუცილებელია არა მხოლოდ გამოვავლინოთ ორგანიზატორული უნარის მქონე ტალანტები, დავაწინაუროთ ისინი, არამედ საჭიროა მათზე ზრუნვა, მათი აღზრდაო. ხელმძღვანელის შრომა რთული და მრავალმხრივია, იგი მოითხოვს ადამიანის მთელი ძალების დაძაბვას და დიდ შრომის უნარს. ამიტომ კოლექტივთა ხელმძღვანელები საჭიროებენ საზოგადოებრივი, პირველ რიგში პარტიული ორგანიზაციების მუდმივ ზრუნვას და დახმარებას, პარტიული ორგანიზაცია, უსწორეს ხელმძღვანელს, როცა იგი ცდება, ზრუნავს მის ავტორიტეტზე.

ყოველი რანგის ხელმძღვანელი საჭიროებს თავისი ცოდნის მუდმივ განახლებას და გამოცდილების გამდიდრებას. ეს ხორციელდება ხელმძღვანელი კადრების დახელოვნების სისტემით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „უაღრესად საჭიროა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მუშაობის სტილი და მეთოდები ცენტრალური საუწყებათაშორისო ორგანოებისა... მათ უნდა გარდაქმნან ეკონომიკის მართვის, მისი შეწონასწორების და ეფექტიანობის ამაღლებისათვის მუშაობის სტილი და მეთოდები მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების შესაბამისად“.

უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელი სისტემატურად უნდა იმაღლებდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს, მტკიცედ უნდა დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. უამისოდ შეუძლებელია ხელმძღვანელობა ჩვენს დროში. ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, თუ ხელმძღვანელს არ უნდა სხვას ჩამორჩეს, მთელი სიცოცხლე უნდა ისწავლოსო. „უკანასკნელ წლებში ინტენსიურად განვითარდა მართვის მეცნიერება და მისი ცოდნა საჭიროა ყოველი ხელმძღვანელისათვის.“

სისტემატური შემოქმედებითი თვითგანათლება აყალიბებს ადამიანში იმის უნარს, რომ მეცნიერულად მიუდგეს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას, ეს კი აიოლებს შრომის ორგანიზაციას. თორიულად მომზადებული ხელმძღვანელი ხედავს უფრო ღრმად და შორს, ავლენს ანალიზის უნარს.

ამიტომ სასარგებლოა (ამის შესახებ უკვე გამოთქვა მოსაზრება ლიტერატურაში) უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნეს კოლექტივის მართვის თეორიისა და პრაქტიკის კომპლექსური კურსი, ანდა მონათესავე დისციპლინებში, სადაც ამის საშუალება არსებობს, ადგილი დაუთმონ კოლექტივის მართვის პრობლემების შესწავლას, სასარგებლოა აგრეთვე ვსწავლობდეთ ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლტიურის დაწესებულებებში და ა. შ. ცალკეული უბნებისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკას. ამ მხრივ მეტად სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია თბილისში შექმნილ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტს.

კოლექტივის ხელმძღვანელობის მეთოდებისა და სტილის შემდგომი სრულყოფა განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა და კომუნისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

ალ. მუჯირი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახალხო-სამეურნეო ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე.

«საქართველოს კომუნისტი» № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის შესაბამისად და საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

ანშლაგით „სკკპ XXVI ყრილობა“ გამოქვეყნებულია: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება 1981 წლის 23 თებერვალს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა.

რუბრიკით „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!“ დაბეჭდილია წერილები: ბ. გულუასი — ნათელი პერსპექტივები; ვ. ნავადაძისა — ახალი ძალითა და შემართებით; გ. აბდალაძისა — მუშური სინდისით; კ. ბერიძისა — წარუშლელი შთაბეჭდილება; ნ. პეტრიაშვილისა — დიდი დიფასება და მოვალეობა.

განყოფილებაში „მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა“ გამოქვეყნებულია კ. წერეთლის სტატია — ჩვენი დროის გმირი.

აქტუალური ინტერვიუ

ავლაგმოთ ბირთვული უგუნურობა

ვაშინგტონი. ამერიკის დელეგაციის გარეუბან ეირლიში დამთავრდა „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლი ექიმების“ საერთაშორისო კონფერენცია. საბოლოო სხდომაზე შეჯამდა გაწეული მუშაობის შედეგები და დაისახა სამომავლო ამოცანები.

შეხვედრის წარმატებამ, განაცხადა საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კონფერენციის თანათავმჯდომარემ და საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აკადემიკოსმა ე. ი. **ჩაზოვმა,** მოლოდინს გადააჭარბა. მსოფლიოს 11 ქვეყნიდან ჩამოსულმა ექიმებმა განიხილეს ყველა შესაძლო შედეგი კატასტროფისა, რომელიც ბირთვულ ომს მოჰყვება. ექიმების აზრით, ასეთი ომის გაჩაღება შემაძრწუნებელ შედეგებს მოიტანს კაცობრიობას.

კონფერენციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს, სხვა ბირთვულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუგზავნა მმართველი, რომელშიც მსოფლიოს სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ყურადღება მიაპყრო ომას, რომ საჭიროა გაიმართოს მოლაპარაკება ბირთვული იარაღის მარაგის შემცირებისა და მისი სრული აკრძალვის შესახებ, აღნიშნა საბჭოთა დელეგატმა. კონფერენციის მონაწილეებმა შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებს და გამოთქვეს ექიმთა აზრი ამ საკითხზე.

კონფერენციის მონაწილეებმა — სპეციალისტმა-მედიკოსებმა, ხაზი გაუსვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, დასკვნეს, რომ საჭიროა ფართო მოძრაობის ორგანიზაცია, რომელშიც ჩაებმებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ექიმები. ეს აღნიშნეს, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ხაზი გაუსვეს კონფერენციის შინაგანელილობას და მზარი დაუჭირეს ექიმთა ასეთი მოძრაობების შექმნას ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბელგიაში, ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში. მიღწეულ იქნა მორიგება, რომ ექიმთა შემდეგი საერთაშორისო კონფერენცია მოეწყოს ინგლისში 1982 წელს.

კონფერენციაზე, აღნიშნა საბჭოთა მედიკოსების დელეგაციის მეთაურმა, განვიხილეთ მეცნიერთა და ექიმთა ისეთი საკორდინაციო კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც შეაგროვებს ბირთვული ომის შედეგებთან დაკავშირებულ სამედიცინო ხასიათის სხვადასხვაგვარ მასალებსა და დოკუმენტებს და გააცნობს მათ სხვადასხვა ქვეყნის ექიმების ეროვნულ მოძრაობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლესისა და ახალი ამბების საბჭოთა კორესპონდენტები გვაცნობენ



27 მარტი

შანტაჟის პოლიტიკა

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები განაგრძობს შანტაჟის პოლიტიკის განხორციელებას ირანის მიმართ: ურჩს ამბობს განაახლოს მასთან ვაჭრობა ან შეთანხმების დებულებათა საწინააღმდეგოდ, რომლის ხელმოწერას მიმდინარე წლის იანვარს მოჰყვა ამერიკელ მძევლთა განთავისუფლება.

როგორც რეიგანის ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს „წაახალისოს“ (ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა ირანთან, სახამ არ დაიკმაყოფილებენ ამერიკის კომპანიებისა და ბანკების ფინანსურ პრეტენზიებს ამ ქვეყნის მიმართ. „ეკონომიურ ირანს სხვადასხვა ფინანსური მოთხოვნანი უყენებს ამერიკის შეერთებული შტატების 2500-მდე კორპორაცია და ბანკი. მთავრობა რა ხელი შეთანხმებას ირანის ხელმძღვანელობასთან, გაშინგტონმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის ზაფხულისათვის დაებრუნებინა ირანის აქტივები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც რეიტრის სააგენტო წერს, 3-დან 4,15 მილიარდ დოლარს შეადგენს. მხოლოდ ამის შემდეგ ირანის ხელერ სპეციალურად შექმნილი ფონდიდან უნდა დაეკმაყოფილებინათ ამერიკელ მეწარმეთა პრეტენზიები. ახლა ამერიკის შეერთებული შტატები არსებითად უარს ამბობს შეასრულოს შეთანხმების პირობები და დაჟინებით მოითხოვს შეიცვალოს პრეტენზიების განხილვის წესი.

პოლონეთის ამბები

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა მოიწვიოს 29 მარტს ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

პოლონეთში კვლავ უაღრესად დაძაბული ვითარებაა. პროფგაერთიანება „სოლიდარობა“, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მოუწოდა უზრუნველეყო სამი შრომითი თვე — 90 მშვიდობიანი გაფიცვისა დღე, აქტიურად ემზადება ქვეყანაში საყოველთაო გაფიცვის მოსაწყობად. „ანტისოციალისტური, ანტიპოლონური ორგანიზაცია „კორის“ ლიდერები, რომლებიც პროფკავშირში თავკაცობენ, ცდილობენ სახელმწიფო და პარტიული ორგანოების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული ქმპანიისათვის გამოიყენონ კანონიერი მოქმედება, რომელსაც მთავრობამ მიმართა ბიდგოშში „სოლიდარობის“ წევრთა მიერ დაკავებული სავოევოდო სახალხო საბჭოს შენობის გასათავისუფლებლად.

ქვეყანაში მოზღვავდა პროვოკაციული ფურცლები, რომლებიც შეიცავენ ამკარა მუქარას კომუნისტების მიმართ. ფურცლები მოუწოდებენ აქტიურად იმოქმედონ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრების, ყველა იმ მშრომელის მიმართ, ვინც საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენისათვის იღვწის.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. რაკოვსკიმ, დაახასიათა რა ქვეყანაში შექმნილი ვითარება, თქვა, რომ პროფგაერთიანება „სოლიდარობამ“ წამოაყენა მოთხოვნები, რომლებიც ულტიმატუმის ხასიათს ატარებენ. კამპანია, რომელიც სოლიდარობამ გაიჩაღა ხელისუფალთა წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა მილიციისა და უშიშროების ორგანოების წინააღმდეგ არის მიმართული. ფაქტები მოწმობენ, განაგრძო მან, რომ პროფგაერთიანებაში არიან ძალები, რომლებსაც სურთ ომი გამოუცხადონ სახალხო ხელისუფლებას. მათ ავიწყდებათ, რომ ამით ომს უცხადებენ საკუთარ თავს, თავიანთ ოჯახებს, მილიონობით ადამიანს პოლონეთში.

პროფგაერთიანებამ წამოაყენა მოთხოვნა და დაიმუქრა თუ იგი არ შეგვისრულეთ, გაფიცვას მოვაწყობთო. „სოლიდარობის“ წევრები უკვე მზად არიან გაფიცვისათვის, რასაც მოჰყვა დაძაბულობის ზრდა ქვეყანაში. კრიზისი, რომელიც ახალი ძალით გაჩაღდა, თქვა მ. რაკოვსკიმ, ასოსტებს პოლონეთის პოზიციებს ევროპასა და მსოფლიოში.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში დაძაბულობის ზრდის გამო ახორციელებენ ღონისძიებებს საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

ფოტოობიექტივი ამხილებს

პენსიონერთა მანიფესტაცია

ასი ათასზე მეტი ფრანგი პენსიონერი მონაწილეობდა მანიფესტაციაში, რომელიც პარიზში გაიმართა. მანიფესტანტებმა მოითხოვეს ქვეყნის ხანდაზმულ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მოხუცებულობის გამო პენსიებისა და დახმარების მომატება, აგრეთვე საპენსიო ასაკის შემცირება.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი პარიზის ქუჩებში.

აფპ-საკადესის ტელეფოტო.

მწერალთა ყრილობისწინა დიალოგები

„შესაძლებლობათა გამოჩენის დრო“

სერგო კლდიაშვილი:

ჩვენი ღვაწლმოსილი მწერალი, ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატი სერგო კლდიაშვილი სიამოვნებით დაგვთანხმდა ყრილობისწინა დიალოგზე. ისევ მხნედ არის „ჭინკა ბიჭების“ ავტორი, გულღიად გვესაუბრება:

— არ ვამეტებ, ახლა უფრო მინდა მუშაობა, ოღონდ ცოტათი თვალისჩინმა მიღალატა.

— თქვენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცოცხალი მატიანე ბრძანდებით, რამდენიმე თაობას მოესწარით. და იქნებ გვითხრათ, რა მოიტანეს პროზაში თქვენმა უმცროსმა კოლეგებმა ახალი, განსხვავებული...

— ქართული მწერლობა ყოველთვის ასახავდა დროს, მხატვრულ ტილოებზე გადაჰქონდა ხალხის ფიქრი და მისწრაფება. ასეა ახლაც, თანაც მეტი სიმწვავე, სიღრმე ახასიათებთ ჩემი უმცროსი მეგობრების ნაწარმოებებს. და მაინც, მგონია, რომ ჩვენი მწერლობა უფრო მეტად უნდა ედგეს მხარში პარტიის რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტს, რადგანაც იგი დიდ სახალხო საქმეს აკეთებს. ხელმძღვანელობის ასეთი ზრუნვა მშობლიური ლიტერატურისათვის, ამ ხნის კაცი ვარ და, ადრე, სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს. ანდა, რა დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ XXVI ყრილობაზე ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. თანაც ითქვა, რომ ლიტერატურა ისეთივე დიდი მსახურია ხალხისა, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკი. და ეს იმ დროს არის თქმული, როდესაც ასე დაძაბულია საერთაშორისო ურთიერთობა ორ სამყაროს შორის, რაც ასე აღელვებს კაცობრიობას. ეს მომენტიც გამოხმაურებას უნდა პოულობდეს ლიტერატურაში.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, საქმის კურსში ბრძანდებით და გაინტერესებთ ქართული თეატრის, კინოს, მხატვრობის, სპორტის ახალი ამბები...

— ვცდილობ არ ჩამოვრჩე დროს და როდესაც ქართული ხელოვნების და სპორტის დღევანდელ მიღწევებს ვიგებ, მე ისევ და ისევ რესპუბლიკის აღმშენებლობის ამ ახალ პერიოდზე ვფიქრობ, როცა შესაძლებელი გახდა ქართული ეროვნული ენერგია, ნიჭი და გაქანება უცხოეთის მრავალ ქვეყანას ენახა და აღფრთოვანება ვერ დაემალა.

დავით კლდიაშვილის პიესები წინათ არსად დადგმულა საქართველოს გარეთ. ახლა კი, მოგეხსენებათ, „სამანიშვილის დედინაცვალმა“ რუსთაველის თეატრის დადგმით საზღვარგარეთი მოიარა.

ანდა, ვინ იცნობდა ჩვენს მხატვრობას? მე კარგად მახსოვს, ლადო გუდიაშვილი და ფიროსმანი რომ ვაღიარეთ ახალგაზრდებმა, დაგვცინოდნენ, ფუტურისტებს გვეძახდნენ. ახლა ყველა დარწმუნდა, შინაურიც და გარეშეც, თუ რა დიდი მხატვრები გვყოლია.

სპორტი ხომ პირდაპირ ეროვნული საქმე გახდა. ვინ აღარ მოიხიბლა ქართველი კაცის სიჩაუქით. ერთი სიტყვით, შესაძლებლობათა გამოჩენის დროა დამდგარი და ალბათ უნიჭო თუ იტყვის: რომ არ ვჩანვარ, გარემოების ბრალიაო.

— ზემოთ თქვენი დიდი მამა დავით კლდიაშვილი ახსენეთ. წელს მისი დაბადების 120-ე წლისთავი უნდა გადაიხადოს ჩვენმა ხალხმა, მგონი თხზულებათა სრული კრებულიც უნდა გამოვიდეს საიუბილეოდ...

— თუ გამოვიდა — კი. რაღაც არ უჩანს კარგი პირი... მე კი არაფერი დავკელი, რომ დავით კლდიაშვილის სრული კრებული —მოთხრობები, დრამატურგია, სტატიები, მოგონებები, მიმოწერა — ყველაფერი ერთად თავმოყრილი მიეღო ქართველ მკითხველს. ახლა კი ამ საქმის დაჩქარებაა საჭირო.

— შეგვახედეთ თქვენს შემოქმედებითს ლაბორატორიაში, რაზე მუშაობთ ამჟამად?

მე ძალზე მაღელვებს თანამედროვე ქართული სოფლის პრობლემა, მისი ყოფა და ავ-კარგი. ვმუშაობ ვრცელ მოთხრობაზე, რომელიც სწორედ სოფლის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს ეძღვნება. მიმაჩნია, რომ საქართველოს — ისედაც პატარა ქვეყანას, სოფელი საკვსე და ღონიერი უნდა ჰქონდეს, თუ ბალავარის ბოლომდე სიმტკიცე სწადია.

მკითხველს ვთავაზობთ

1. საუბარს ქართული პროზის ღვაწლმოსილ ოსტატთან III გვ.
2. პოეტ შოთა ნიშნიანიძის ახალ ლექსებს III გვ.
3. ლამარა გენდელიანის ლექსებს — იგეგზდება პირველად III გვ.
4. ახალ რუბრიკას — დედაო ენავ! IV გვ.

მკითხველს ვთავაზობთ

„უმთავრესი თემა — თანამედროვეობის ასახვა“

შოთა ნიშნიანიძე:

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჩვენი ცნობილი პოეტი შოთა ნიშნიანიძე რედაქციაში გვეწვია. და აი, რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას:

— სიტყვაკაზმული მწერლობა ყოველთვის იყო ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ზრუნვის საგანი. ეს ზრუნვა განსაკუთრებით ბოლო წლებშია საგრძნობი. სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ახალი, უდიდესი ამოცანები დაუსახა მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ხოლო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ ფრიად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სადღეისო და სამერმისო საკითხებზე. საინტერესოა თქვენი აზრი ჭეშმარიტი მწერლობის მნიშვნელობაზე, მის დანიშნულებაზე ორი სამყაროს აგრერიგად გამძაფრებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში.

— მარქსიზმის კლასიკოსები და პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მხატვრულ ლიტერატურას მასების სულიერი ფორმირების საქმეში. მწერლობა ერის სულიერი მოძღვარი და მსახურიც არის ერთდროულად. მხატვრული სიტყვა ბასრი იდეოლოგიური იარაღი გახლავთ, ამიტომ დღევანდელი ლიტერატურისათვის, ორი იდეოლოგიური სამყაროს დაპირისპირების დროს, აუცილებელ პირობად მიმაჩნია იდეური სიმტკიცე, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია.

— ქართულ საბჭოთა მწერლობას ყოველთვის გამბედავნული ჰქონდა დროის გრძნობა „დრო, დრო აღნიშნე!“ ლოზუნგად დაუტოვა დიდმა გალაკტიონმა თავის თანამოძმეებს. ახლა, როცა ქართული მწერლობა თავის ყრილობაზე შეიკრიბება და საანგარიშო პერიოდის შედეგებსაც შეაჯამებს, რა თქმა უნდა, საინტერესოა, რით იყო ეს პერიოდი მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის.

— მწერლობის უპირველესი და უმთავრესი ამოცანა თანამედროვეობის ასახვაა, ეპოქის მოწინავე ადამიანთა მხატვრული სახეების ძერწვაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიული თემებზე შექმნილი მხატვრული ტილოებიც თუკი ისინი თავიანთი პათოსით და მიზანდასახულობით თანამედროვეობის პრობლემებს ეხმიანება. ეს წარსულის თანამედროვეობისთვის მხარში ამოყენებას ნიშნავს. პოეტური ფორმულა „დრო, დრო აღნიშნე!“... მხატვრის მიერ თავისი დროის წინაშე ვალისმოხდასა და პასუხისმგებლობას გულისხმობს.

უკანასკნელ წლებში ქართული ლიტერატურა უფრო აქტიურად ჩადგა თანამედროვეობის სამსახურში, უფრო ღრმად შეიჭრა ცხოვრების დუღილში და დიდი როლიც შეასრულა საქართველოში დაწყებული ზნეობრივი გაჯანსაღების საქმეში. შეიქმნა რამდენიმე მაღალმხატვრული წიგნი როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. ეს წიგნები, ღრმად ვარ დარწმუნებული, სახელდიდებას მოუტანს ქართულ მწერლობას.

საჭირბოროტო საკითხებზე წერა მხატვრულ ნაწარმოებს მასშტაბურობას ანიჭებს და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ ხდის. ამიტომ დღევანდელი ლიტერატურის ერთ-ერთ მონაპოვრად მოქალაქეობრივი მოტივების აღორძინება მიმაჩნია. ოღონდ აქტუალურ თემებზე წერა დიდ პასუხისმგებლობას, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ასეთ თემებზე დაწერილი, ვთქვათ, მხატვრულად მდარე ლექსთა, მკითხველს პოეზიასაც ვაძულებთ და მის ობიექტსაც. ასევე, პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსიც კი, თუ მხატვრულად სუსტია, თემის და იდეის სპეკულაცია იქნება და არა პოეზია!

დღევანდელი პოეზიის მონაპოვარია აგრეთვე თემატური მრავალფეროვნება, ლექსიკური მარაგისა და სიტყვის მრავალნიშნადობის ზრდა, ასოციაციური გადასვლები, ქვეტექსტის გაშიფვრის სიხალიჩლე, კონტრასტების ექსპრესიულობა, ირონია, და საერთოდ წეროის მაღალი ტექნიკა, მაღალი პროფესიონალიზმი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ნიშნ-თვისებები რჩეული პოეტების მცირე ჯგუფს ახასიათებს.

— რა აზრისა ხართ თანამედროვე კრიტიკაზე?

— კრიტიკოსის პროფესია საერთოდ რთული პროფესიაა, მეტადრე ჩვენს პირობებში, როცა მწერლები ერთმანეთის მეზობლები ან მეგობრები არიან (გარეგნულად მაინც). ნამდვილად გვყავს ნიჭიერი და განათლებული კრიტიკოსები, მაგრამ კრიტიკას სიმართლის თქმა უჭირს. კრიტიკოსები (და მათთან ერთად ჩვენც) ვერ ვახერხებთ ობიექტურნი ვიყოთ მეგობრების ან მეზობლების მიმართ, ვერ ვბედავთ კრიტიკული სიმარადენი ვთქვათ ტალანტოვან ან თანამდებობის მქონე მწერლებზე. კრიტიკის მიერ შემოთავაზებულ კონკრეტულ შეფასებებს მე პირადად ნახევარზე მეტს კერ ვიზიარებ. როგორც ჩანს, ზხატვრული ნაწარმოების აღქმა მეტად სუბიექტურია.

— ვინც ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, უთუოდ ეხსომება თქვენი პოლემიკური წერილები ვერლიბრის თაობაზე. ახლს ხომ არაფერს დაუმატებდით იმ მოსაზრებებს?

— ვერლიბრი უალრესად ტევადი ფორმაა: არ იზღუდება ვერსიფიკაციული პირობითობებით. მისი განვითარება აუცილებელია, მაგრამ თუ ვერლიბრი დიდი მნიშვნელობით, დიდი მხატვრული ინფორმაციით ან განსაკუთრებული სათქმელით არ გაიკვლევა, პოეტურ უკმარობად ან სიცარიელედ აღიქმება. ასეთი ვერლიბრი იოლად იწერება და სახელს უტეხს ჭეშმარიტ ვერლიბრს. ეს ფორმა ბევრი უმწიფარი პოეტისათვის მოდა უფროა, ვინემ შინაგანი მოწოდება. ვერლიბრი და კონვენციური ლექსი ერთმანეთს ვერ შეცელის, ორივე საჭიროა. ზოგიერთი პოეტი კონვენციურ ლექსს შეგნებულად იყენებს თავს: კლასიკოსებსა და სხვა ბრწყინვალე პოეტების გვერდით რითმიანი ლექსის გაბრწყინება არც ისე ადვილი საქმეა! ამიტომაც მიმართავენ ექსპერიმენტს, იგივე ვერლიბრს. მე ექსპერიმენტების წინააღმდეგი როდი ვარ! პირიქით, უნდა ვეძიოთ, და ენერგიულადაც უნდა ვეძიოთ მხატვრული სიტყვის განახლების გზები, გამოსახვის ახალი ფორმები, მაგრამ პრესის ფურცლებზე ცდები და ძიებები კი არ უნდა გამოვიტანოთ, არამედ შედეგები. სწორედ ასეთი „ოქროს“ შედეგია, მრავალი ასეული პოეტური თაობის ძალისხმევის შედეგი: კონვენციური ლექსი. ეს რითმიანი, მელოდიური ლექსი ერის ფსიქოლოგიური წყობიდან, ერის გემოვნებიდან წარმოშობილი ფენომენია და „ბუნებრივი შერჩევის“ პრინციპს ეფუძნება, ამიტომ შთამომავლობას მისი (ესე იგი კარგი ტრადიციის) განვითარება მართებს, და არა დაკნინება ან უარყოფა. არსებობს ფსევდო და ჭეშმარიტი სიახლეები, მხოლოდ ტრადიციებიდან ამოზრდილი სიახლეა ჭეშმარიტი სიახლე.

— თქვენს ადრეულ წიგნებში ისტორიული თემატიკა სჭარბობდა და, როგორც ცნობილია, ბევრი პატრიოტული ლექსიც უძღვენით წარსულის გმირებს, ციხე-ტაძრებსა და მათს მშენებლებს; ბოლოდროინდელ კრებულებში კი წინა პლანზე თანამედროვე თემებია ეგამოწეული. რით აიხსნება ეს პოეტური ფერისცვალება?

— თემატური გადახალისება (ანდა სწრაფვა მრავალფეროვნებისადმი) არა მგონია, პოეტურ ფერისცვალებას ნიშნავდეს. არც მარტო წარსულის გმირებსა და ციხე-ტაძრებზე წერაა პატრიოტობა. ისტორიაშიც და დღეადღეობაშიც გმირული საწყისები მაინტერესებს, სიკეთისა და სამართლიანობის იდეალები მაღელვებს. ამიტომ ჩემი დაინტერესება თანამედროვეობის თემებით სრულიად ბუნებრივია: რესპუბლიკაში მომხდარ სასიკეთო ძვრებს, ერის აღმავლობას, წარმატებებს მეც შეძლებისდაგვარად ვეზიარებიან, მეც ვთქვი მშრომელი კაცის, პატიოსანი კაცის სადიდებელი.

— თქვენ ალმანახ „საუნჯის“ რედაქტორი ბრძანდებით. როგორ განსაზღვრავდით მის როლს ქართული კულტურის განვითარების საქმეში?

„საუნჯის“ არსებობის ფაქტი დიდი მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ მთელი ერის კულტურული ცხოვრებისათვის. ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე კითხულობს როგორც მსოფლიო მხატვრული აზროვნების, ისე ესთეტიკურ-ფილოსოფიური შემოქმედების რჩეულ ნიმუშებს. თავრგმნილი ლიტერატურის წყალობით ერთი ერი იცნობიერებს მეორე ერის ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ფსიქოლოგიას, კულტურას და მათი გამგები, დამფასებელი ხდება. მაშასადამე, ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნა ხალხთა დაახლოების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმაა და ინტერნაციონალური იდეალებს ემსახურება. გარდა ინტერნაციონალურისა, მთარგმნელობითს საქმიანობას დიდი ეროვნული მნიშვნელობის ფუნქციაც აკისრია. მსოფლიოს მხატვრული და მეცნიერული აზრის გადმოქართულების პროცესში იწვრთნება და მდიდრდება ქართული ენა, ქართული სიტყვა. ენა მდიდრდება ლექსიკურად, იხვეწება სტილისტურად, იძენს ელასტიურობას, მიმოქცევის ახალ ფორმებს, გამოსახვის ახალ საშუალებებს. ენას ემატება ინტერნაციონალური ნიუანსები, ახალი კოლორიტი, ახალი სურნელი, მაშასადამე, თარგმნა მშობლიური ენის განვითარება-აღორძინებაა, მისი დამკვიდრების ერთ-ერთი ინტენსიური ფორმაა. ამიტომ „საუნჯის“ არსებობა ქართული ენის განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა, ეს კი ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფია.

საუბრის დასასრულს პოეტმა თავისი ახალი ლექსები შემოგვთავაზა, რომელთაც სიამოვნებით ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

3. მარდალიეშვილი.

შოთა ნიშნიანიძე ◆ ახალი ლექსები ◆ ყვალის ფიგნიდან

დიდოსტატის ნაანდერძალი

უთქვამს ბატონ კონსტანტინეს:
— მახვილივით ანვდილი ვარ,
ამაყი ვარ, თავი მომწონს —
აფხაზებთან გაზრდილი ვარ...

შენ ხარ ჩემი ჰაკი აძბა
და თარაშის დღიურები.
ჰაუ, ფაცხავ აფხაზურო,
შენამც მემშობლიურები.

ძველებურად გესტუმრები
და მხიარულს გიხილავდე
ისე, როგორც აბრსკილის დროს,
ისე, როგორც ბიბლიამდე.

ჩიტო, ჩიტო აფხაზურო,
იყავ მრავალჟამიერი,
ქვას ვერ გესვრი, საყვარელო,
შენამც მემაფშალიები.

გულში მყავხარ გაზაფხულად,
როგორც ყრმობის გარიჟრაჟი,
გულში, აფხაზეთო, გულში,
გულში — ღვთიურ გალიაში.

●●

სახლი ვერაზე

მოხუცდა დედა და მარტო ცხოვრობს...
დანაშაული არ არის განა?
გავს მისი ყოფა გაჩეხილ კორომს,
სადაც ხეები ცალკ-ცალკე დგანან.

ამ ხეებს შორის ეკიდა ერთხანს,
ვით საქანელა ან ცისარტყელა, —
რასაც შვილების ბავშვობა ერქვა,
ანდა იმედი ერქვა სახელად.

შვილების ნახვა მოხუცისათვის
დღესასწაული არის ნამდვილად.
მე კი რა მომდის, რა მჭირს ისეთი,
თვეში ერთხელაც ვეღარ ავდივარ.

თუ აგონდება ყმაწვილქალობა,
ჩვენი ბავშვური კვეხნა, ქადილი:
— მე, დედა, დიდი კაცი გამოვალ...
მე — გმირი... მე კი მძღოლი ნამდვილი.

ძმებო, იქნება სირცხვილიც კია...
მაგრამ ერთ რამეს გთხოვთ ამთავითვე:
სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან
მოდით, დედასთან ხშირად ავიდეთ...

●●

საიათნოვა

მისი თარი ოქროს აზარფეშად ჩანს,
სიყვარულში ჩვენთან ბარი-ბარშია,
ტურფა სომხეთს,
ლამაზ აზერბაიჯანს
მაინც ჩვენი საქართველო არჩია!
ჯან
საიათნოვა,
ჯან!
საქართველოს მეფის საზანდარი ხარ,
სამი ერის,
სამი ენის ფარი ხარ,
ერეკლესთვის გილოცნია სიონში,
არუთინჯან თბილისისთვის მკვდარი ხარ...
ბრწყინავს თარი ჯადოსნური სკივრივით,
ბრწყინავს თარი... ბედს ვერ დაუთარსია.
სიყვარული, სიმღერა თუ ტირილი
ყველაფერი, ყველაფერი თარშია.

მოგზაურო, ამ მიწაზე შეჩერდი,
მოდი ნახე ქართული ცის ქვეშეთი, —
ლოცვებივით ამოზრდია გულიდან
ეკლესიაც,
სინაგოგაც,
მეჩეთიც.

პოეტების მწველ ჰანგებით ნაშუქი
ჰგავს თბილისი საახალწლო ჩიჩილაკს,
შენ ხარ უფლის ხელდასხმული აშუღი,
ხელშიც მტკვარი, ჯან, თარივით გიჭირავს,

მზეც და მთვარეც ფეშქაშ, გქონდეს
ქამანჩად!
ჯან,
საიათნოვა,
ჯან!

●●

თანამედროვე ცეცხლთაყვანისმცემელი

სალამი ცეცხლო არტისტულო,
სალამი ცეცხლო ღვთაებრივო,
უნდა სურვილები გამისტუმრო,
მემფარველო და მანებივრო.

ცეცხლო ლერწამულო, ვენახურო,
ციხიერო და მინიერო,
ცეკვა-სიმღერებში შენახულო,
უნდა იძლიერო, იძლიერო!

თუ ბეღურები იჩემებენ ბუდეებს
მერცხლის, —
წამეკიდება ცეცხლი!
თუკი მდიდარი ღარიბ გოგოს გულისპირს
შეხსნის,
წამეკიდება ცეცხლი!
თუ პირველ ტალღას ფასი აქვს მეცხრის
თუ ოქროდ ფასობს იუდას ვერცხლი,
ან თუ სიმართლეს სიცრუე შეცვლის, —
წამეკიდება,
წამეკიდება,
წამეკიდება
ცეცხლი!
და სიზმრად ვნახე: ავბრიალდი
მეხდაკრულივით,
მოვარდნენ თითბრის ჩაჩქნიანი მეხანძრეები,
ხელში ეჭირათ ჩანჩქერები და
მამხნევებდნენ
არ შეშინდეო... და მაქრობდნენ ყრუ
ჟრიამულით.
მე მათ სახეებს, მათ ბედნიერ სახეებს
ვჭვრეტდი
და მორიალე მოყიყინე მეხანძრეებში,
ო ღმერთო! ღმერთო! მეგობარი მგოსნები
ვიცან...

✦

ალბათ არც ერთ ბავშვს არ უფიქრია,
არც არასოდეს შეშინებია:
რატომ თითონ პატარა და სხვა რატომ
დიდი?

საყვედური დამწყებ ეშმაკს

თეთრი ძაფით ხარ ნაკერი, ბრიყვო,
ნეკში ვინახავ ჭკუას შენოდენს,
ეშმაკი უნდა ისეთი იყოს,
რომ ეშმაკობა არ სჭირდებოდეს.

●●

ბედი

თავის ბედს მონებს ყველა არსი, ყველა
ატომი...
და კაცი ვერ ხსნის ბედისწერის სვლებსა
და მუღამს.
არც ყველა ქვირითს უწერია თევზად
გახდომა,
არც რკო ყოველი გამხდარა მუხა.
. . . . . .
ყველა ღირსეულს ძეგლის დადგმა რომ
ღირსებოდა,
მაშინ ქვეყანა სასაფლაოდ გადიქცეოდა...

●●

დიალოგი საფულეში

(არც მთლად იუმორესკა)

პაწაწა კაპიკიანი
ასმანეთიანს შესჩივის:
— მე გროშად არავინ მაგდებს,
შენ კი — გხვეტავენ ჩეჩქივით.
ატყდა მსხვილ-მსხვილი ფულების
ხარხარი... ტკარცალ-ხითხითი:
— შე ბრიყვო, ვის რად უნდიხარ,
ჩვენ კი ეშმასაც ვიყიდით,
შენ ქურდბაცაცა გიპარავს
ჩვენ — ქურდი ყოვლის მაქნისი,
და, თანაც, რაც მთავარია,
ჩვენს ქურდებს ჩვენვე დავიხსნით.

●●

„ბასტას“ ესპერანტო

ანუ სოციოლოგია

მე ისევ მომხრე ვარ ფერადთა მუქთა
და არა ბაცთა.
. . . . . .
თქვენ გქონდათ, ბიძიკო, ცხოვრება მუქთა?!
— ბასტა!
გქონდათ აგარაკი მთაშიც და ზღვაზეც
და ერთიც ხელოვნურ ტბასთან?
ყველაფერს გადაესვა, ყველაფერს ხაზი,
— ბასტა!
იქ პიონერია ხმაურობს,
ისმის ჟრიამული ბავშვთა...
ორგიებს და შიშველ ამურებს
— ბასტა!
ქოროს მაამებლურ კრინთა,
ქოროს დარდიმანდულ ბასთა
ხმა არ გაელება!.. კრინტი!..
— ბასტა!
— ჰეი, შლაგბაუმო, — დამოკლეს მახვილო,
მხნედ იდექ საეჭვო გზასთან,
ციტრუსით გაჭექილ მანქანებს დაჰყივლე:
— ბასტა!
და თუ კი მგოსანი სიმართლეს ჩირქს
მოცხებს —
შერცხვება მუზასთან — ღვთაებრივ დასთან—
მაშინ ჩვენს კაცობას, ჩვენს ჩანგს და
სიცოცხლეს
— ბასტა!!

●●

უპატრონოთა სახლში

გაზრდილი გოგონას

ვედრება

ღვთისმშობლისადმი

ღვთისმშობელო დედაო,
ჩივილს შემოგბედაო,
ობლის მოთქმა-ვაებას
თუ შეისმენ ნეტაო.
ჩემი დედა სად არი,
ანდა მამა სადაო,
ასე რად მომიძულეს,
რა აქვთ ჩემთან სადაო.
ალბათ სხვა ჰყავთ შვილები,
კარგათაც ჰყავთ ყველაო,
ნუთუ არ ენატრებათ
მათი ცუგრუმელაო?
ერთმა ქალმა მიშვილა —
სიზმრად აგრე ვნახეო,
შენი ჰქონდა თვალები,
ღიმილი და სახეო.
არაფერი არ მინდა,
ერთ რამეს გთხოვ თანაო:
დამასიზმრე დედიკო,
მისი იავნანაო...

●●

მუსლუხო და ვარსკვლავი

ცისკრის ვარსკვლავი სიბნელეს ალხობს
და მუხას დამზერს სიმაღლით მოღლილს.
იქ, კენწეროზე, ვარსკვლავის ახლოს
მუხლუხო მუხის სქელ ფოთოლს ლოღნის.

მღილი მიწიერ ვნებით მაძღარი
მარტოა ცისქვეშ, სრულიად მარტო,
ხის კენწეროზე ისე ხვანცალებს,
თითქოს ვარსკვლავად გახდომას ნატრობს.

●●

დიკა და მახობელა

დედობილი მომიკვდა — კოლხ-იბერთა
გამდელი,
დიდედაიც დავკარგე — ამორძალი
ქართლელი.

— სადღა არი დიკა, ქა?
— ანდა მახობელა, ცა?
მათი მჭახე სურნელი, მჭახეც,
მათრობელაცა.

აღარც თონეებია ძველთა ოფლით ნალტობი,
უპატრონოდ მომიკვდნენ, ჩემი
ბედოვლათობით,

ბუნების სასწაულო, მოვედ მახარობელად,
გამიცოცხლე ღმერთები: დიკა და მახობელა.

ლამარა გენდელიანი

ამ ლექსების ავტორი ლენტეხის მკვიდრია, რაიონულ ლიტერატურულ ნრეს ხელმძღვანელობს.

ᲛᲝᲗᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲐᲒᲓᲔᲑ, ᲥᲝᲒᲘᲚᲝ!

მთაში ციხე-კოშკს აგებდა,
შენს მომავალზე ფიქრობდა
და ბოძანწყვეტით თლილი ქვა
თვით ციხეკედლის მიჰქონდა.
ხან ეღვარებდა მახვილი,
ხიხლისწვეთებით ნაშული,
შემოგინახათ პირწმინდად
დედა ენა და მამული.
ეს ხილამაზე ამ ქვეყნად
ადამიანით მშვენდება,
კაცის მოდგმა და ჯილაგი
მთაში ნუმც გადაშენდება.
მთაშია მამა-პაპანის
ძვალი და ხორცი მარხული.
უფალმა ნუ ქნას მათს მკერდზედ
ეკალბარდები გახული.
ნიშა-ნიკორას ეღელი
აპეურ-შემოწყვეტილი,
ბეღელ-მარანი, ნალია,
ეზო-კარ გამოკეტილი.
უფალმა ნუ ქნას სვანეთში,
სვანი თვის მართვეს არ ზრდიდეს,
ხმები ლილეს და რიმოის
არა სწვდებოდეს ცის კიდეს.
ჩემს ულლად ბიკეზს ვფიცავარ,
ეკვი არ მომდის ამაში,
ათახი თვალი უმზერდეთ —
არ ჩავახიძებ ქალაქში.
ქალს კი გავუშვებ, გაფრინდეს
როგორც რიგი და წესია,
უნდა თბილისი ირჩიოს,
თუ უნდა რაჭა, მესტია.
ჩვენც კი ვისწავლეთ ცოტა რამ,
მაგრამ არ დავრჩით ქალაქში,
მთაშიაც ვიყოთ, ბარშიაც
ცუდი რა არის ამაში.
მკერდები დასიებიათ
სათიბ-სამოვარს მთაზედა,
ჭოკი, ნახირი მოგბლავით
გასული იალაღზედ,
ბევრ ნაქალაქარს მთის წვერზედ
გადაუშლიათ გულები,
მოუარე და მიხედე,
ბევრი აქვს ნაიროგულევი.
ქურა გამართე, დაბედე,
მთამ მთას მოხახოს „ბერიო“,
შვილიშვილები აქ ვზარდოთ,
ხარობდეს პაპა-ბერიო.

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ

თუმც ვიცრემლებოდით და
მაინც ვმღეროდით.
არ ჩახდა მზე და მაინც ვეძებდით,
ვეგებდით კოშკებს დაკოფილ ხელებით,
„რიმოის“ ხმებით
ცის კიდეს ვწვდებოდით,
ველოდით განთიადს,
შეეკმენით „ლილე“,
ვხატავდით,
ვძერწავდით მომავლის რწმენას,
მოუვახთ სიმრავლეს,
ქვეყნის ხიშვიდეს,
ყოველ ალითს „ლაგუშედათი“
შევთხოვდით ზენას.
ამა, „რიმოი“ შემოუძღვა მთებში განთიადს,
ბნელი მარმაში გაფანტრო
მაღალ საჯიხვეთს,
ზეცით არწივმა ფრთა დაიბერტყა,
შეკრა ქამარა,
ძირს საფერხულო წრე შეუკრავთ
მთათა ხარკიხვებს.
ამა, „რიმოი“ შემოუძღვა მთებში განთიადს,
გავშალეთ მხრები,
წინ ვერავინ გადაგვიდგება,
შედუღაბებულ ძმათა კავშირს
მხარი ავუბით,
მამულს დიდება!

ДЕДАЗО ЕНАВ!

რუბრიკა „დედაო ენავ!“, რომელსაც გაზეთი „კომუნისტი“ მკითხველებს სთავაზობს ქართველ მწერალთა IX ყრილობის წინ, ერთგვარად შეუწყობს ხელს ქართული ენის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებას, იმ ლენინურ ხაზს, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ატარებს საერთოდ სხვადასხვა ეროვნებათა კულტურის შემდგომი წინსვლისა და აყვავებისათვის.

ამ რუბრიკით „კომუნისტი“ პერიოდულად დაბეჭდავს მასალებს ქართული ენის სიწმინდის, მართლწერის, სტილის საკითხებზე. რუბრიკა, რა თქმა უნდა, წარიმართება მეცნიერების, კულტურის განვითარების საკითხებზე რესპუბლიკის კომპარტიის ცნობილ დადგენილებათა სულისკვეთებით.

განყოფილებაში დაიბეჭდება ცნობილ მწერალთა და მეცნიერთა წერილები, გაშუქდება ის საყოფიერი მუშაობა, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული ენის ნორმების დამდგენი მუდმივი კომისია ახორციელებს. სწორედ ამ კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება გაზეთ „კომუნისტში“ ამგვარი რუბრიკის შემოღების თაობაზე; ეს მკითხველთა სურვილიც არის. თავის მხრივ რედაქცია თხოვს მკითხველებს, განსაკუთრებით სპეციალისტებს, მონაწილეობა მიიღონ ამ საერო და საზოგადო საქმეში, გამოგვიგზავნონ თავიანთი წერილები, წინადადებები, შენიშვნები ქართული ენის საკითხებზე.

ქართული ენა ერთ-ერთი უძველესია მთელ მსოფლიოში დღეს ცოცხალ ენათა შორის. ამასთანავე ის არის ძლიერი და მოქნილი, მდიდარი და განვითარებული ენა. რა თქმა უნდა, ეს ღირსებები ჩვენს ენას ერთბაშად არ შეუძენია. იგი შედეგია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ენობრივი შემოქმედებისა, ასევე თაობათა გონებრივი შრომისა, განუწყვეტელი ზრუნვისა და რუდუნებისა. მაგრამ არასოდეს ამ ზრუნვას არ ჰქონია ისეთი ორგანიზებული ხასიათი და მასშტაბი, როგორიც მას აქვს დღეს, საბჭოთა ეპოქაში, როცა საბჭოსწიფო უზარმაზარ სახსრებს ანბარს ხალხის განათლებასა და კულტურულ წინსვლას, როცა ჩვენში აღორძინებ არის წერა-კითხვის უცოდინარი, როცა ყოველდღიურად გამოდის ათეულობით ქართული გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, რომელთა ტირაჟები ათეული და ასეული ათასობით იზომება, როცა ყოველ ოჯახში დგას რადიო და ტელევიზორი.

ყოველივე ეს აჩქარებს ენის განვითარებას, მოწმობს მის დიდ სასიცოცხლო ძალას, მაგრამ ამასთანავე მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობასაც, რათა არ აიმღვრეს ენის სათავე, არ შეიბღალოს მისი ღირსება.

ენა აზროვნების იარაღიაო, — გვასწავლის მარქსიზმი. ეს იარაღი მთელ საზოგადოებას ემსახურება, მწერლისა და ლიტერატორისათვის კი ამავე დროს ის არის შემოქმედებითი მუშაობის ერთადერთი იარაღიც. ასეთ უნიკალურ საჭურველს მით უფრო მეტი მოცვლა და მზრუნველობა სჭირდება. როგორც მაქსიმ გორკი ამბობდა, „ენის სიწმინდისათვის, აზრობრივი სიზუსტისა და სიმახვილისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა კულტურის იარაღისათვის. რაც უფრო ბასრია ეს იარაღი, რაც უფრო ზუსტადაა მიმართული, მით უფრო უძლეველია იგი“.

ვინ უნდა ზრუნავდეს უწინარესად მშობლიური ენის შემდგომი წარმატებისა და განმტკიცებისათვის, მისი ძლიერებისა და ცხოველმყოფელობისათვის, მისი ღირსებების დაცვისათვის, სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგებისათვის, ენის სიწმინდისათვის, თუ არა ლიტერატურული მუშაკი, მით უფრო მწერალი?

მწერლობა მუდამ ფხიზელ გუშაგად ედგა ქართულ სიტყვას, არ აკლებდა მას ყურადღებასა და მზრუნველობას. ჩვენს შორეულ წინაპრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გავიხსენოთ ახლო წარსული ის მოღვაწენი, რომელთა მომსწრენი ჩვენ თვითონ ვართ, გავიხსენოთ, რა თავგამოდებით ზრუნავდნენ ქართული ენისათვის მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ლევან გოთუა, გიორგი შატბერაშვილი და სხვები. მაღალხატვრული, ენობრივად დახვეწილი ნაწარმოებების შექმნასთან ერთად ისინი საჯარო გამოსვლებით, წერილებით და პრაქტიკული მოღვაწეობითაც ხელს უწყობდნენ ქართული ენის წინსვლასა და წარმატებას.

წაიგდა ქართული სიტყვის მეაბჯრეთა ეს სახელოვანი თაობა და მოვიდნენ ახლები. რა თქმა უნდა, ამ ახალ თაობაშიაც გამოჩნდნენ ბრწყინვალე სიტყვის ოსტატები, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ენის ჯადოს და ახალი ფერებით ამდიდრებენ ჩვენს სალიტერატურო ენას. არქაული ენობრივი სურნელით გეხიბლავს ანა კალანდაძის ნაზი ლირიკა, ომახიანი შეძახილი და სასაუბრო ინტონაცია ბუნებრივად არის შეზავებული მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, მდიდარი ლექსიკითა და თხრობის ლაღი მდინარებით ყურადღებას იქცევენ რევაზ ჯაფარიძისა და ლადო მრელაშვილის მოთხრობები და რომანები. ყოველმხრივ სანიმუშოა რევაზ ინანიშვილის ლირიკული პროზის ენა, სადაც ერთ სიტყვასაც კი ვერ დასძრავთ ადგილიდან. დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობენ ქართული სიტყვის ხანდაზმული დიდოსტატები სერგო კლდიაშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ყოველივე ეს სასიხარულო და საამაყოა, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ჩვენი სასიქადულო მწერლები წმინდა შემოქმედებითი მუშაობით არ იფარგლებოდნენ და სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში თუ თეორიულ კამათშიც უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ენისადმი ყურადღება ბოლო დროს ერთგვარად შეხელდა და მტკივნეული ენობრივი პრობლემების განხილვა ჩვენს პრესაში თუ ზეპირი პაექრობისას იშვიათ მოვლენად იქცა. ნაწარმოების მხატვრული ანალიზის დროს კრიტიკა ენას არ ეხება, ან ორიოდე ზოგადი ფრაზით კმაყოფილდება, ხოლო ამ ორიოდე ფრაზაში ზოგჯერ აშკარა ენობრივ წუნსაც მაღალი შეფასება ეძლევა.

აი, ამის ერთი მაგალითი: რამდენიმე წლის წინათ გამოიცა ლ. ვოლინსკის „შვიდი დღის“ თარგმანი, სავსე სხვადასხვა სახის უხეში ენობრივი შეცდომებით, როგორიც არის „ვდგავ“, „ურტყავს“, „ფაფუკი ჭადრები“, „ხატიფი საჭმელები“, „ტაძრის აშენების დამთავრების გეგმა“, „იჯდა ძველ ავეჯს შორის“, „იდგნენ არავისთვის ცნობილ პირთა შორის“, „მხატვარი თავის შექმნილ სურათებში ბიბლიურ თემებზე მოგითხრობთ არა უძველეს ლეგენდებზე“, „გულგაუტეხავს ადამიანში საწამებელ ძელზე გაკრული ხელებით მხატვრის პირადი ტრაგედიაა ჩაქსოვილი“, „არაჩვეულებრივი მოლოდინით აღელვებული, გულში მწყინდა კიდეც იმ საყოველთაო დუმილისა“ და ა. შ.

ასეთ ენობრივ კურიოზებს ხელი არ შეუშლია რეცენზენტისათვის, რომ თარგმანი „მშვენიერის“ ეპითეტით შეემკო და მასზე სიტყასიტყვით ასე განეცხადებინა: „მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შეუნიშნავი ქართულით უთარგმნია წიგნი. მკითხველს გულწრფელ მადლობას იმსახურებს მთარგმნელიც და გამომცემლობა „ხელოვნებაც“ („წიგნის სამყარო“, 14. IV. 1976).

სხვისი რა მოგახსენოთ და, პირადად ჩემი მხრივ კი ასეთი მთარგმნელი, გამომცემლობაცა და რეცენზენტიც მხოლოდ გულწრფელ აღშფოთებას იმსახურებენ. როცა წიგნები ასეთი შეცდომებით იბეჭდება და შემდეგ კი მათ ასეთი ადტაცებული შეფასება ეძლევა, ჩანს, არც ისე სანუგეშოდ გვქონია საქმე.

ჩვენს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში აქა-იქ კვლავ ამოტივტივდება ხოლმე ისეთი კუროიზები, როგორიც არის „რამდენიმე დღის უძილო ღამე“, „უმად მიწედილი პოეტური ზოდი“, „წიგნი თანამედროვეობის მაჯისცემით საზრდოობს“, „ლაღად ვერ იბოგინებდა“ და სხვანი. მაგრამ სალიტერატურო ენის მდგომარეობა ამგვარი მაგალითებით არ განისაზღვრება. მათ მხოლოდ ის როლი შეუძლიათ შეასრულონ, რომ ერთბაშად გვიჩვენებენ, თუ სადამდე მიდის ზოგჯერ ენისადმი უყურადღებობა და დაუდევრობა.

ასეთივე შეფასება შეიძლება მიეცეს სალიტერატურო ენის ნორმათა უხეში დარღვევის შემთხვევებსაც, როგორიც არის: ტოტოარი, ყოველთწმინდა, ზემოდ, დამხვთით, ვვოცნებობ, გავვოცდი, უწვიმავს, იზავს, შეითქვეინ, გათოხნავენ, აღგვითქვავენ, უსმევენ, ვერაფერი დააცდევინეს, სამმა ჯარისკაცმა შემოიტანეს და სხვა.

ზემოხსენებულთა მსგავსი მაგალითები ენისადმი უყურადღებობისა და დაუდევრობის ან უვიცობის მკაფიო გამოხატულებაა და ადვილად ხვდება კითხველს თვალში, მაგრამ სწორედ ამის გამო ისინი არ წარმოადგენენ გასაკუთრებულ საფრთხეს სალიტერატურო ენისათვის. უფრო ძნელი შესამჩნევია, ამავე დროს დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის უფრო დამახასიათებელია, ერთი მხრივ, დაღალარჭნილი სინტაქსური კონსტრუქციები, ხელოვნური ფორმები, არქაიზმებითა და დიალექტიზმებით გატაცება, მეორე მხრივ კი სალიტერატურო ენის დაქვეითება ჩვეულებრივი საყველპურო მეტყველების დონემდე და მისი ესთეტიკური ცხოველმყოფელობის, ექსპრესიულობის უგულებელყოფა, უცხო სიტყვებისა და ენობრივი შტამპის მოძალება.

უწინარეს ყოვლისა სანიმუშოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ამოღებულია ბოლო დროს დაქვეყნებული სხვადასხვა ჟანრის თხზულებიდან: რომანიდან, თარგმნილი მოთხრობიდან და კრიტიკული წერილიდან.

„ზოგჯერ, მშენებლობიდან შინ დაბრუნებული, თუ ფხიზელი იყო, თავის ოთახში ნათურას აანთებდა და მტვრიანი საწერი მაგიდის დანახვაზე გული მოეწურებოდა, უეცრად მოზღვავებული შინაგანი ძალა თუ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის სურვილი იქითკენ უბიძგებდა, რომ საკუთარი ფანტაზიით აღეწერა უცნობი გარემო, შეექმნა ეპიზოდები, ჩავალ მივიხედ-მოვიხედავ და მერე ამის მიხედვით ჩავაყრორებო, ფიქრობდა, მაგრამ საკუთარი თავისადმი მოთხოვნილება და პატიოსნება, მწერლის უპირველეს, აუცილებელ თვისებად რომ მიიჩნდა, უფლებას არ აძლევდა, უნახავად და აღუქვეულად რაიმე დაეწერა“ („ცისკარი“, № 9, 1980, გვ. 55).—

„ისეთი გუგუნი იდგა—ერთი დაუსრულებელი სიტყვა —თითქოს მუშტაიდის ბაღში კარუსელი ბრუნავდა —იგი გამოიჭრებოდა, ამაღლდებოდა, მერე ისევ მიეყუჩდებოდა, და ეს გუგუნი მჭიდროდ იყო დაწნეხილი სხვადასხვაგვარ ხმათაგან, რომლებიც გამოძვრებოდნენ, გამოხტებოდნენ ამ მჭიდრო ბურთისაგან, როგორც ზამბარა ძველი დივანისაგან და გამგმირავად გაკვეთდა ეზოს მცირე სივრცეს“ („მნათობი“, № 4, 1980, გვ. 81-82).

„მოთხრობის გაღოთებულ ი გმირი, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი არ ერიდება მისი ყოფის შემაძრწუნებელ დეტალებს, სულიერად და ზნეობრივად მაინც ბევრად უფრო მაღლა დგას არა მარტო არყის გამყიდველ გრიშაზე, ვისაც სრული უფლება აქვს მწარე ირონიით იკითხოს — „გრიშა, დედა უფრო გიყვარს თუ ფული“, ან არა მარტო მსუქან და გამხდარ კაცებზე, სამადლოდ რომ ასმევენ მას ლუდსა და არაყს, თან კი მთელ თავის სულიერ დაკნინებას აშკარავნებენ ამ დროს, არა მარტო გზად შემოხვედრილ სტუდენტ ი ბ ი ს დროის ნაცნობზე, ადრინდელის ინერციით რომ ელაქუცება ერთ დროს უნიჭიერეს ახალგაზრდას, ახლა ლოთად ქცეულს, არამედ მაღლა დგას თავის ყოფილ მეგობრებზეც და საყვარელ ქალზეც, რომლებმაც დიდი ხანია მიატოვეს იგი, ახლა კი საავადმყოფოში მზრუნველად დასდგომიან თავს“ („ლიტერატურული საქართველო“, 28. IV. 1978).

მოყვანილ ნაწყვეტებში წარმოდგენილია მხოლოდ თითო წინადადება, მაგრამ ყოველი მათგანი ისე რთული და ჩაწნული-ჩაგრეხილია, რომ მკითხველს სუნთქვა ეკვრის და აზრის გამოტანა უჭირს. ამ უმთავრესი ნაკლის გვერდით სასვენი ნიშნების მოუწესრიგებლობა და ორთოგრაფიული შეცდომები უკვე უმნიშვნელო ჩანს.

ქართულ სალიტერატურო ენაში ბოლო დროს ერთგვარ მოდად იქცა არქაიზმების ჭარბი ხმარება. ზოგი ჩვენი კრიტიკოსი დაბეჯითებით ირწმუნება, არავითარი დაყოფა ძველ და ახალ ქართულად საჭირო არ არის, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობსო. თუ ამ დებულებას გავიზიარებთ, მაშინ უარსაყოფია საერთოდ არქაიზმის ცნება და თანამედროვე მწერალს შეუძლია თავისუფლად იხმაროს ყველა სიტყვა თუ ფორმა, რომელსაც იაკობ ცურტაველი ან გიორგი მერჩულე ხმარობდა. მაგრამ ასეთი შეხედულება საფუძველშივე მცდარია. ყოველი ცოცხალი ენა განუწყვეტლივ იცვლება და ამ მხრივ არც ქართული ენა წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს. ის სიტყვა ან ფორმა, რომელიც ძველად იხმარებოდა, ხოლო თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი არ არის, რა თქმა უნდა, არქაიზმია. მის ხმარებას დღეს რაიმე გამართლება უნდა ჰქონდეს: ან ეს სიტყვა თუ ფორმა უმართებულოდ მისცემია დავიწყებას და მისი აღდგენა მწერალს სალიტერატურო ენისათვის საჭირო და სასარგებლო საქმედ მიაჩნია, ან კიდევ მწერალი მას იყენებს მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში — ექსპრესიის გასაძლიერებლად თუ მეტყველების კოლორიტის შესაქმნელად, ე. ი. გარკვეული მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციით.

ამგვარი საჭიროების გარეშე არქაიზმების ხმარება იაფფასიანი სამკაულებით თავმომწონეობას ჰგავს. ამავე დროს, რაც მთავარია, არქაიზმების სიჭარბე ხელოვნურობის დაღს ასვამს ენას, ბუნებრივ სილაღეს უკარგავს მას, გაუგებარს ხდის ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ასეთი რამ საგრძნობია, კერძოდ, ძველი ბერძნულიდან შესრულებულ ზოგიერთ თარგმანში. მათს მთარგმნელებს უნდა შეეგახსენოთ, რომ პირველყოვლისა საჭიროა თარგმანის ენა გასაგები იყოს, ნაწარმოება ძალდაუტანებლ ა დ იკითხებოდეს, თორემ ისე თარგმნას რა აზრი აქვს?!

გარდა არქაიზმებისა, სალიტერატურო ქართულში სხვადასხვა კუთხური ფორმების მოძალებაც იგრძნობა. ზოგიერთი ნაწარმოების გმირთა მეტყველება ჭარბად არის დატვირთული „აგი-მაგითა“ და „აჭანე-იქინეთი“, გმირთა მეტყველებიდან კი ზოგი რამ ნებსით თუ უნებლიეთ ავტორის ენაშიც იჭრება. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას პირველი პირით თხრობისას. ამ დროს ორგვარი საფრთხე არსებობს: ენის გაყალბებისა და გაუბრალოებისა. ოსტატობა ის არის, რომ გმირი, რომლის პირითაც მიმდინარეობს თხრობა, არც მაღალფარდოვნად და არაბუნებრივად მეტყველებდეს და ამასთანავე არც მხოლოდ ყოველდღიური ყოფითი მეტყველებით შემოიფარგლოს. ამას კი ყველა როდი ახერხებს.

ამა თუ იმ ნაწარმოებმა რომ გადალახოს ფოლკლორის საზღვრები და ფართო ლიტერატურის მოვლენად იქცეს, ის ენობრივადაც უნდა გასცილდეს დიალექტის ჩარჩოებს, უფრო ნათელი და ადვილად გასაგები გახდეს ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ასეთი რამ საგრძნობია, კერძოდ, ძველი ბერძნულიდან შესრულებულ ზოგიერთ თარგმანში. მათს მთარგმნელებს უნდა შეეგახსენოთ, რომ პირველყოვლისა საჭიროა თარგმანის ენა გასაგები იყოს, ნაწარმოება ძალდაუტანებლ ა დ იკითხებოდეს, თორემ ისე თარგმნას რა აზრი აქვს?!

ბოლო ხანებში ერთ-ერთ ადგილას ეს ასეთი ლექსიკური სიაღლე, რომელსაც ენაში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ფორმების ნაცვლად გვთავაზობენ. ჩემთვის გაუგებარია, მაგალითად, რა უპირატესობა აქვს და რისთვისაა საჭირო **ზეიმის** შეცვლა **ზეიმობით, დღესასწაულისა — დღესასწაულობით,** მით უფრო **იუბილეს დღესასწაულობა** რაღაა?

ამავე დროს ახალი სიტყვების შექმნისა და დანერგვისათვის ზრუნვა ნაკლებად იგრძნობა ზოგჯერ სწორედ მაშინ, როცა ეს აუცილებელია, სახელდობრ, უცხო ტერმინთა ქართული შესატყვისების ძიებისას. მართალია, უცხოურ სიტყვათა ერთი ნაწილი უთარგმნელადაც შეიძლება შემოვიდეს ენაში, მაგრამ მათი უკონტროლოდ და შეუზღუდავად ხმარება შეუწყნარებელია.

ზოგი უკვე დამკვიდრებულ ქართულ ტერმინებსაც უცხოურით ცვლის და ამით თავს იწონებს, მაგალითად, ჩოგბურთის ნაცვლად საკმაოდ ხშირად გიგონებთ ტენისს, კალათბურთის ნაცვლად — ბასკეტბოლს.

დეპეშა და **ტელეგრამა** წარმოშობით ორივე უცხო სიტყვაა, ერთი ფრანგულია, მეორე — ბერძნული, მაგრამ ქართულში კარგა ხანია დამკვიდრდა დეპეშა (ლევა დეპეშა, დეპეშური სტილი, დეპეშათა საგენერო... იხმარება ზმნაც: მიდეპეშე, უდეპეშა...). მიუხედავად ამისა, ზოგი ახლაც ცდილობს შეცვალოს დეპეშა ტელეგრამით. საკითხავია, რა საჭიროა ეს? საბედნიეროდ, ზოგჯერ მწერლობაშიც გამოჩნდებიან ხოლმე ამგვარი „ნოვატორობის“ მოამხრენი, რომლებიც სალიტერატურო ენაში გზას უხსნიან ტელეგრამას, ფაკირს და სხვა ასეთ სიტყვებს, მაგრამ ალბათ ნაკლებად ფიქრობენ მოსალოდნელ არასასურველ შედეგზე.

შეიძლება უცხოურ სიტყვას, როგორც სპეციალურ ტერმინს, არსებობის სრული უფლებაც ჰქონდეს მოპოვებული, მაგრამ სამწერლო ენაში ამგვარი ტერმინების ჭარბი ხმარება მაინც არ არის სასურველი. აი ერთი პატარა მაგალითი კრიტიკული წერილიდან: „მწერლის ინტუიციას ხელეწიფება აღსაწერი ობიექტების სწორედ იმ რაკურსით წარმოჩენა, სწორედ იმ ერთადერთი სიტუაციის ფიქსირება, რომელშიაც ხასიათისა და პეიზაჟის მარადიული, არაეფემერული სუბსტანცია მეფავნდება. ერთი შტრიხისა თუ დეტალის მსუბუქი კონტური პერსპექტივაში არსებული მთლიანობის უცდომელ წარმოდგენას იძლევა“ („მნათობი“, № 1, 1980, გვ. 143-144).

ამ მცირე მონაკვეთში უცხო სიტყვების ისეთი კორიანტელი დგას, რომ მკითხველი ვეღარც კი გაიგებს, რისი თქმა სურდა ავტორს.

ყოველივე ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ჯერ კიდევ ბევრი მტკივნეული, მოსაგვარებელი საკითხია, რომელთა გადაწყვეტაში მწერლობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს.

ენისთვის ზრუნვას აქვს აგრეთვე მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მხარე, ეს არის ენის უფლებათა დაცვა, სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა, მათი დამკვიდრებისათვის ბრძოლა წარმოება-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საზოგადოებაში. ამ მხრივაც ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი.

რამდენი ხანია, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულისა და ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემა, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების გამოცემა.

ვერავითარი ობიექტური მიზეზი ვერ გაამართლებს იმას, რომ ჩვენს ჰატარეს ვერ უშოვიათ მოძრავი ქართული ანბანი.

ანდა რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს იმ ფაქტს, რომ ქართული კალენდარი ყოველწლიურად დიდი დაგვიანებით გამოდის.

მოსაწესრიგებელია ქართული წიგნის ტირაჟის საკითხი. ქართველ კლასიკოსთა თხზულებანი, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა, გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით უნდა იბეჭდებოდეს, ვიდრე თარგმნილი ლიტერატურა.

მეტ ყურადღებას მოითხოვს ქართული საშრიფტო მეურნეობა, რომელიც საკმაოდ ღარიბია, მის გასაუმჯობესებლად კი ჯერჯერობით ცოტა რამ კეთდება.

კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ბოლოს და ბოლოს, უნდა უზრუნველყოს დეპეშების ტექსტის გადაცემა ქართული შრიფტით, აგრეთვე ტელეფონების სიის გამოცემა ქართულ ენაზე.

უნდა მოგვარდეს ქართულ ანბანიანი ბლოკნოტებისა თუ ხელმის ქაღალდების ბეჭდვის საქმე, უფრო მეტი რაოდენობით და კარგი ხარისხისა გამოიცეს მისალოცი ღია ბარათები ქართულ ენაზე.

ჩვენმა კინოსტუდიამ და ტელევიზიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბავშვო მულტფილმებისა და სხვა გადაცემების ქართულად გახმოვანების საკითხს.

კინოფიკაციის სამმართველოს მეტი ზრუნვა ჰმართებს ინოფილმების სახელწოდებათა ქართულად თარგმნაზე და აფიშებში აღნიშვნაზე.

ერთი სიტყვით, საზრუნავი და მოსაგვარებელი აქაც ბევრი რამ არის და არავის არა აქვს უფლება, თავი აარიდოს მათ.

მოვუაროთ დედაენას — ჩვენს უტყუარ იარაღს, რომელიც წინაპრებმა ყველაზე ძვირფას განძად ჩაგვაბარეს. ჩვენც ვალდებული ვართ ასევე მოვლილი და დაფერილი გადავცეთ იგი მომავალ თაობებს.

ზურაბ ჭუმბურიძე.

ბალავარი მწერლობისა

ბერიტაშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი

ფიზიოლოგიის დარგის ნაშრომებისათვის 1980 წელს დაწესებული აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია პირველად მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ვ. ოკუჯავას ნაშრომების ციკლისათვის ეპილეფსიის გენეზის, გენერალიზაციისა და აქტიურობის შეწყვეტის შესწავლის დარგში.

საქინფორმის კორესპონდენტმა ი. გოლდმანმა სთხოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა დ ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თ. ონიანს განემარტა ვ. ოკუჯავას გამოკვლევის მნიშვნელობა.

— განუზომლად გაიზარდა მეცნიერების როლი ხაზოგადოების ცხოვრებაში, — თქვა მეცნიერმა, — კერძოდ, პრაქტიკული მედიცინა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ვერ იარსებებს ბიოლოგიის დარგის ფუნდამენტური კვლევის შედეგების გამოუყენებლად. მაგრამ ისინი პრაქტიკული მედიცინისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, თუ მაღალ მეთოდიურ და ტექნიკურ დონეზე განხორციელდა. სწორედ ეს თავისებურება ახასიათებს აკადემიკოს ვ. ოკუჯავას ნაშრომებს.

ქართველი ფიზიოლოგის გამოკვლევებს, მის მიერ შექმნილ ეპილეფსიის მოდელს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ მძიმე დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ თავის ტვინის მუშაობის ბევრი მექანიზმის შესასწავლადაც.

ეპილეფსიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში ეს ნამუშევრები ბიოლოგიის დარგის ფუნდამენტური კვლევის შედეგების გამოუყენებლად. მაგრამ ისინი პრაქტიკული მედიცინისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, თუ მაღალ მეთოდიურ და ტექნიკურ დონეზე იყო დიალომი და დიდი მედალი, რომლებითაც ჯიათურელი ოტატი დაჯილდოდა ჭედური ნამუშევრებისათვის „ხევსური გოგონა“ და „მხიარული მღებავი“. ეს ნაწარმოებები მან წარადგინა კრაკოვის სამხატვრო აკადემიის მიერ მოწყობილ სანდომირის I საერთაშორისო გამოფენაზე.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეულმა 33 მხატვარმა თავიანთი ნაწარმოებები ადგილზევე შექმნეს და ჯამბულ მოდებაძის იმპროვიზირებული ნაბუშევრები ერთ-ერთ საუკეთესოდ ცნეს.

სურათებზე: „ხევსური გოგონა“; დიდი მედალი და დიპლომი, რომლებითაც დაჯილდოდა ჯიათურელი მხატვარი (ზემოთ); „მხიარული მღებავი“.

ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდი მედალი დაიმსახურა

ჯიათურის სარეკლამო სააგენტოს მხატვარმა ჯამბულ მოდებაძემ ქალაქ სანდომირიდან (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა) მიიღო ბანდეროლი, რომელშიც იყო დიპლომი და დიდი მედალი, რომლებითაც ჯიათურელი ოტატი დაჯილდოდა ჭედური ნამუშევრებისათვის „ხევსური გოგონა“ და „მხიარული მღებავი“. ეს ნაწარმოებები მან წარადგინა კრაკოვის სამხატვრო აკადემიის მიერ მოწყობილ სანდომირის I საერთაშორისო გამოფენაზე.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეულმა 33 მხატვარმა თავიანთი ნაწარმოებები ადგილზევე შექმნეს და

ფირმა გამოფენაზე გვიწვევს

ელექტრული საბეჭდი მანქანა, რომელსაც შეუძლია გამოცვალოს შრიფტი, სწრაფად და უძვალოდ წამალოს შეცდომა, შეავსოს ბლანკები, ბეჭდოს სხვადასხვა ენაზე და სპეციალური ტექნიკური და მათემატიკური ნიშნებით, ამერიკის „ინტერნეშნლ ბიზნეს მაშინის“ ფირმის ორგტექმოწყობილობის გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატია.

გამოფენა გაიხსნა 24 მარტს თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში. გამოფენაზე წარმოდგენილია ელექტრონული მეხსიერების მქონე, მაგნიტური რუკებით აღჭურვილი მანქანები და ელექტრული ასოთასაწყობი საბეჭდი მოწყობილობა. გამოფენის ფარგლებში იმართება სემინარი სპეციალისტებისათვის. ისინი გაეცნობიან ფირმის მანქანებზე მუშაობის და მათი მომსახურების პრინციპებს.

ფირმა „აი-ბი-ემი“ ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო კონცერნია, რომელიც ქმნის კომპიუტერებს, საკანცელარიო და სასტამბო მოწყობილობას.

ფირმის შვილეული საწარმოები გაფანტულია თითქმის ყველა კონტინენტზე. 1972 წლიდან ფირმა თანამშრომლობს სსრ კავშირის სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ფირმის პროდუქციის შემოტანის მოცულობამ მილიარდნახევარ დოლარს გადააჭარბა.

ახლანდელი გამოფენა ფირმის პირველი ღონისძიებაა მოკავშირე რესპუბლიკებში. იგი მოაწყვეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებმა.

გამოფენა 2 აპრილამდე გასტანს. (საქინფორმი).

ყაბალი

დღეს და ხვალ

დღეს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის ექვსი მატჩია! „ყუბანი“ უმასპინძლებს „სპარტაკს“, „ტავრია“ — მოსკოვის „დინამოს“, „არარატი“ — მინსკის „დინამოს“, კიევის „დინამო“ — დონის როსტოვის არმიელთა გუნდს, „ჩერნომორეცი — ნეფთჩის“, თბილისის „დინამო“ — „ზენიტს“. **ხვალ** ითამაშებენ: ცსკა — „ყაირათი“, „დნეპრი“ — „შახტიორი“, „ტორპედო“ — „ფაბტაქორი“.

თბილისის „დინამო“ „ზენიტს“ საკავშირო ჩემპიონატებში ხულ 74-ჯერ შეხვდა. აქედან თბილისელებმა მოიგეს 38 მატჩი, 19 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და 17 წააგეს. ბურთების შეფარდებაა 135:85 თბილისელთა სასარგებლოდ.

გუშინ გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და „ზენიტის“ დამეგობრება. იგი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:0. ბურთები გაიტანეს ჟორდანიამ და აფხაზავამ.

საკავშირო ორგიტა

ბაკურიანი. ბაკოში დამთავრდა პიონერთა სასახლეების საკავშირო გუნდური შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. ამ ჯილდოს დაეუფლნენ მოსკოველები, რომლებმაც 43,5 ქულა დააგროვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბაქოელები (39,5 ქულა), მესამეზე — ლენინგრადელები (34,5).

ფეხბურთი. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შერჩევითს ჯგუფებში გაიმართა მორიგი მატჩები. **მეორე შერჩევითს ჯგუფში** ბელგიელებმა დაამარცხეს ირლანდიელები (1:0), ხოლო ჰოლანდიელებმა — ფრანგები (1:0). ამ ჯგუფში ლიდერობენ ბელგიელები — 9 ქულა (10 შესაძლებლიდან). მომდევნო ადგილებზე არიან ირლანდიელები — 7 (12), ფრანგები — 4 (6), ჰოლანდიელები — 4 (8), კვიპროსელები— 0 (12); **მესამე ჯგუფში** ერთი მატჩი გაიმართა. ანკარაში უელსელებმა დაამარცხეს თურქეთის ნაკრები (1:0). უელსელებს 8 ქულა აქვთ (8 შესაძლებლიდან), სსრ კავშირის ფეხბურთელებს — 4 (4), ჩეხოსლოვაკიელებს — 2 (4), ისლანდიელებს — 2 (8), თურქებს — 0 (8). **მეექვსე ჯგუფშიც** ერთი მატჩი გაიმართა. შოტლანდიის ნაკრებმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა (1:1) ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან. ამ ჯგუფში პირველ ადგილზეა შოტლანდიის ნაკრები — 6 ქულა (8 შესაძლებლიდან). მომდევნო ადგილებზე არიან პორტუგალიის — 5 (6), ჩრდილოეთ ირლანდიის — 4 (8), ისრაელის — 3 (10) და შვეიცის — 2 (8) გუნდები.

ვ. ი. ყუფარაძე



საბჭოთა ქართველმა ეროვნულმა ქორეოგრაფიამ მძიმე დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად